[illegible] მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტურ პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმის თვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24
მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმოწერის ფასი: [illegible] 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „კომუნისტს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: [illegible] სტრიქონი—20 კ., [illegible] ციფრები—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ოთხშაბათი, 12 აგვისტო 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 183 (1338)

დღიური

— ამსტერდამში (ჰოლანდია) კომუნისტებმა დიდი მიტინგი მოაწყვეს.
— ბრიანი ლონდონში გაემგზავრა.
— ბესარაბიაში შიმშილობა საშიშ ხასიათს იღებს.
— შესდგა ლიონის რაიონის (საფრანგეთი) [illegible] თა ყრილობა.
— სპარსეთის მთავრობაში ცვლილებები მოხდა.
— მოსავალ წლიდან საბჭოთა კავშირში გამოშვებული იქნება ბრინჯაოს ფულები.

გლეხობა მოიხდის თავის მოვალეობას

ჩვენ ვლაპარაკობთ იმ მოვალეობაზე, რომელიც აწევს გლეხობას საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასტუმრების საქმეში.

ჩვენმა დღევანდელმა სასოფლო-პოლიტიკამ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა სასოფლო-სამეურნეო გადასახადშიც. სოფლად საწარმოო ძალების გაშლისათვის ხელის შეწყობა, მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, ადგილობრივად საბჭოთა აღმშენებლობისათვის ნივთიერი ბაზის განმტკიცება, გლეხობისათვის ფართე უფლებების მინიჭება გადასახადის განაწილების საქმეში, რათა ბოლო მოეღოს ამ მხრივ ყოველგვარ უსამართლობას და უკანონობას,—აი, რა საფუძვლებზეა აგებული ეხლანდელი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, როცა მრეწველობა დანგრეული იყო და მთავრობას არ გააჩნდა სხვა მნიშვნელოვანი წყაროები ქვეყნის ათასგვარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად,—სას.-სამეურნეო გადასახადს დიდი ადგილი ეჭირა სახელმწიფო ბიუჯეტში.

მაგრამ საბჭოთა მრეწველობა თანდათან იზრდებოდა, ქვეყნის ეკონომიკა ჯანსაღდებოდა, სახელმწიფოს შემოსავალი მატულობდა. ამის მიხედვით მცირდებოდა გლეხობის საგადასახადო ტვირთიც. დღეს კი სას.-სამეურნეო გადასახადი შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ 10 პროცენტს. შარშანდელთან შედარებით მისი რაოდენობა შემცირებულია თითქმის ერთი მესამედით: 1924—25 წ. საქართველოსათვის იგი უდრიდა 2.900.000 მანეთს, 1925—26 წ. კი წინასწარი ანგარიშით შეადგენს 1.675.429 მ.

მაზრებს და ავტონომიურ ერთეულებ შორის გადასახადის განაწილებას თუ ავიღებთ, დავინახავთ, რომ განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული თვითეულ მათგანის სამეურნეო შეძლებულობას და ამის მიხედვით წრეულს შარშანდელის წინააღმდეგ მაქსიმალურადაა შემცირებული განაკვეთის ნორმა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასეთი შემცირება მოხდა მიუხედავად მიმდინარე წლის კარგი მოსავლისა; გასულ წელს ამ მხრივ მდგომარეობა გაცილებით უარესი იყო.

ამნაირად, გლეხობას არ შეუძლია დღეს საყვედური განაცხადოს, რომ იგი ოდნავ მაინც დამძიმებული იყოს გადასახადით. ისე ცოტაა მასზე შეწერილი გადასახადი, რომ მისი გასტუმრება გლეხს სულაც არ გაუჭირდება.

ამასთან თავის თავად ცხადია, რომ ბოლომდი გატარებულა ამ გადასახადში კლასობრივი პრინციპი. დიდი შეღავათი აქვთ მინიჭებული შეუძლო და ღარიბ მეურნეობათ, რაიმე უბედურ შემთხვევის გამო დაზარალებულთ, წითელარმიელთა ოჯახებს.

სოფლის მოსახლეობას, სულ უმნიშვნელო ნაწილის გამოკლებით, რომელიც მიდის სახელმწიფოს სალაროში, მთელი თავისი მონაგარი თვითონ რჩება, რაც ხელს უწყობს მეურნეობის შემდგომ განვითარებას და დოვლათის დაგროვებას სოფლად.

ეს კიდევ ცოტაა: გლეხის მიერ გაღებული გადასახადის თითქმის ნახევარი ისევ მის თემში თუ სოფელში რჩება და იგი მოხმარდება ადგილობრივ საქმეებს—გზების და ხიდების გაკეთებას, სკოლების და საავადმყოფოების შენახვას და სხვ.

თვით გადასახადის ცალკე მეურნეთაშორის განაწილებასა და აკრეფის საქმეში შარშანდელთან შედარებით შეტანილია არსებითი გაუმჯობესებანი, რომელთა წყალობით სავსებით იქნება დაცული გადამხდელთა ინტერესები. გლეხმა წინდაწინ იცის—როდის და რამდენი უნდა შემოიტანოს. გადასახადის ცალკე მეურნეთა შორის განაწილებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ გლეხებისაგან შემდგარი სასოფლო კომისიები. თუ რაიმე შეცდომები იქნა დაშვებული საგადასახადო ფურცლის შედგენის დროს, მათი გამოსწორება ადვილად და მოკლე დროში შეიძლება საჩივართა განმხილველ კომისიებში, არავითარ ჯარიმას და ადმინისტრატიულ დაპატიმრებას არ ექნება ადგილი საგადასახადო კანონის დარღვევისათვის. გლეხი ამისათვის პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წესით.

კარგა ხანია რაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია მიმდინარეობს. სააღწერო მუშაობა დამთავრებულია. გამორკვეულია დასაბეგრ ერთეულების რაოდენობა თვითეულ მაზრასა და რაიონში, აგრეთვე გადასახადის რაოდენობა თვითეულ რაიონისათვის. ამჟამად სწარმოებს გადასახადის ნორმის გამოანგარიშება თვითეულ მეურნეობაზე და საგადასახადო ფურცლების შედგენა. ეს მუშაობა დასრულებული იქნება ერთი-ორი კვირის განმავლობაში.

აქ საჭიროა დიდი სიფრთხილის გამოჩენა, რათა მშრომელ გლეხობამ სავსებით ისარგებლოს კანონით გათვალისწინებული შეღავათებით და არ იქნეს დაშვებული ზედმეტის შეწერა და რაიმე სხვა უკანონობა. ამასთან გლეხების განცხადებებს კანონით გათვალისწინებულ შეღავათების და წესების შესახებ, თუ ამას ექნება ადგილი, სასწრაფოდ უნდა იხილავდენ სათანადო კომისიები. საქმის გაჭიანურება ამ შემთხვევაში შეუწყნარებელია.

ამ მუშაობის წარმატებით ჩატარება და გლეხობისათვის ეხლანდელი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შინაარსის განმარტება საწინდარია იმის, რომ სოფლის მოსახლეობა გამოიჩენს საჭირო შეგნებას და დაუზარებლად გაიღებს წვლილს თავისი სახელმწიფოს და საკუთარი კუთხის სასარგებლოდ. გლეხი არ არის გადასახადის წინააღმდეგი, როცა მან იცის, რომ ეს გადასახადი მშრომელი ხალხის საქმეს ხმარდება, მით უმეტეს, როცა გადასახადის რაოდენობა ესოდენ მცირეა. გასულმა წლებმა დაამტკიცეს გლეხობის მიერ თავის საგადასახადო მოვალეობის შეგნება, თუმცა მაშინ გადასახადის რაოდენობაც გაცილებით უფრო დიდი იყო და გლეხობასაც უფრო უჭირდა. მით უფრო ხალისით მოიხდის დღეს მიწის მუშა თავის საგადასახადო ვალდებულებას, როცა იგი შედარებით წელში გასწორებული, ხოლო გადასახადის ტვირთი შემსუბუქებული აქვს.

რუსეთიდან მოგვდის ცნობები, რომ იქაური გლეხი არ უცდის ვადას და უფრო ადრე შეაქვს მასზე შეწერილი გადასახადი, ისიც ხშირად არა ნაწილ-ნაწილ, როგორც ეს დაშვებულია კანონით, არამედ მთლად. ცხადია, რომ ჩვენი გლეხი ამ შემთხვევაშიც არ ჩამორჩება თავის რუს თანამოძმეს და იგი დროზე და მთელი ასი პროცენტით შეიტანს ხვედრ გადასახადს სახელმწიფო სალაროში. ამით იგი მშრომელთა ხელისუფლებასაც განამტკიცებს და ხელს შეუწყობს თავისი სოფლის და თემის სამეურნეო-კულტურულ აღორძინებასაც.

მეტი, სიფრთხილე, მეტი მოქნილობა

(პროფორგანოების მუშაობის გამო)

ქართული სოფლის პირობებში მსხვილი კერძო მეურნეობა სანთლით საძებარია. მიუხედავათ ამისა ჩვენ სოფლებში ხშირია დაქირავებულ მუშა-ხელით სარგებლობა. არის ოჯახები, რომელთაც ზოგჯერ თავისი საყოფი სარჩო-საბადებელი არ გააჩნიათ, მაგრამ ისინი მაინც მიმართავენ მოჯამაგირის შრომას.

რით უნდა აიხსნას ეს?

ამის ერთი მთავარი მიზეზთაგანია სოფლად თავისუფალ მუშა-ხელის სიუხვე და სიიაფე. სოფელი იზრდება თვალ და თვალ. ახალი ცოცხალი ძალა ქალაქში ვერ პოულობს გასავალს და მისი საგრძნობი ნაწილი ადგილობრივადვე რჩება.

მეორე მხრივ ჩვენი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა აუარებელ ენერგიის გაღებას ითხოვს გლეხისაგან, რომ მან მიწას თავის გამოსაკვები საზრდო დასტყუოს. აქ ის ხშირათ საკუთარი ძალით პატარა მეურნეობასაც ვერ ართმევს თავს.

მით უფრო ცუდ მდგომარეობაში ვარდება ასეთ შემთხვევაში ქვრივ- ან ხანზე გადასულ უშვილო გლეხების ოჯახები. ასეთ პირობებში აუცილებელია გარეშე დახმარების გამოძებნა, რა საშუალებითაც არ უნდა მოხდეს ეს. ამით აიხსნება ჩვენს სოფლებში მოჯამაგირეობის გავრცელება და დაქირავებულ მუშა ხელით სარგებლობა.

ამიტომ, როცა ჩვენი პროფკავშირების სოფლად მუშაობის შესახებ გვაქვს ლაპარაკი, მხედველობიდან ვერ გაუშვებთ ჩვენებურ მოჯამაგირეობის თავისებურობას და მის ეკონომიურ საფუძველის განსაკუთრებულ მდგომარეობას.

საბჭოთა ხელისუფლებამ მიწის იჯარით გაცემის ნება დართო. მან მუშა-ხელის დაქირავების საქმეში მთელი რიგი მნიშვნელოვანი შეღავათები შექმნა. ეს ყველაფერი ცალკე წვრილ მეურნეობის გამოჯანსაღებასთან ერთად მიზნად ისახავს მთელი სოფლის მეურნეობის აყვავება-მოღონიერებას, რომ მასთან დაკავშირებით სწრაფი ნაბიჯით წავიდეს წინ სოციალისტური [illegible].

აქედან ცხადია, რომ სოფლად ჩვენი პროფორგანოების შრომის დაცვის საკითხისადმი ფრთხილ და წინდახედულ მიდგომაზე ბევრადაა დამოკიდებული ცალკე მეურნეობის განვითარების ბედი. პირველი და გადამწყვეტი ამ შემთხვევაში ისაა, რომ ხელშეკრულების დადების დროს მოჯამაგირის ამყვანს არ უნდა დაეკისროს ისეთი მოვალეობა, რომელსაც მისი ნივთიერი შესაძლებლობა ვერ აიტანს. აქ სავსებით უნდა იქნას გათვალისწინებული ჩვენი სოფლის ის თავისებურობა, რომელზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი.

სამწუხაროდ ადგილობრივად მომუშავე ამხანაგები ჯერ კიდევ ვერ არიან სავსებით გარკვეული სოფლად დაქირავებულ შრომის დაცვის საკითხში და ხშირათ ძველი საზომით უდგებიან საქმეს. არის შემთხვევები, როცა ადგილი აქვს ხელშეკრულების დამდებ მხარეებზე ადმინისტრატიულ ზეგავლენას და იძულებას.

გარდა ამისა, პროფესიონალურ ორგანიზაციის ზოგიერთი მომუშავე იქამდეც მიდის, რომ მოჯამაგირის დამქირავებელ გლეხს ან პირადათ სთხოვს მის შესავალ-გასავლის წვრილობით აღნუსხვას, ან მეზობლების საშუალებით ჰკრებს ასეთ ცნობებს.

თქმა არ უნდა ასეთი „პროფმუშაობა" მხოლოდ აფრთხობს გლეხს და ის იძულებულია ან სრულიად აიღოს ხელი მოჯამაგირის დაქირავებაზე, ან მიმართოს დაქირავებულ შრომით არალეგალურ სარგებლობას, როგორც ეს ადრე ხდებოდა.

სახალხო კომისართა დადგენილებაში და საგანგებოთ გამოცემულ ინსტრუქციაში საკმაოთ ნათლათ არის განსაზღვრული ის უფლება-მოვალეობანი, რომელიც ეკისრება სოფლის მეურნეობაში დამქირავებელს და დაქირავებულს. პროფესიონალურ ორგანიზაციების და შრომის ინსპექციის ამოცანას შეადგენს ხელისუფლების დადგენილების ცხოვრებაში უკლებლივათ და სწორათ გატარებისათვის ყურის გდება.

მოჯამაგირეთა ერთ-ერთ უდიდეს მიღწევათ უნდა ჩაითვალოს ამ შემთხვევაში ის გარემოება, რომ აკრძალულია დაქირავებულ შრომით სარგებლობა წერილობით პირობების გარეშე, რომელიც სახელმწიფო ორგანოების რეგისტრაციაში უნდა იქნეს გატარებული.

პროფესიონალურ ორგანოებმა უნდა ადევნონ თვალყური, რომ ეს პირობები არ იქნეს დარღვეული დამქირავებლის მხრივ. ამავე დროს, ყოველიღონე უნდა იქნას მიღებული, რომ კონფლიქტები ხელშეკრულების დარღვევის ნიადაგზე შეთანხმებით და მორიგებით თავდებოდეს. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა გადაეცეს საქმე სასამართლოს.

ამასთან ერთად ცნობილია მოჯამაგირეების კულტურული და პოლიტიკური ჩამორჩენილობა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დღესაც პროფესიონალურ კავშირების გარეთაა დარჩენილი. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობაში მომუშავეთა კავშირებში გაერთიანებას და მათ შორის კულტურულ და პოლიტიკურ მუშაობის გაჩაღებას.

გარდა ამისა მოჯამაგირის პირობებში ხშირია მათი ადამიანურ ღირსების შელახვის მაგალითები. სრული დაქსაქსულობა და ეკონომიური დამოკიდებულება უფლებრივ დამოკიდებულებასაც ჰქმნის, მოჯამაგირე ძველთაგანვე იმ დაბალ ლობეთ მიაჩნდათ, რომელზედაც ყველა დაუზარებლად ალაჯებდა ფეხებს.

პროფკავშირის მოვალეობაა ბოლო მოუღოს ასეთ დაუშვებელ მდგომარეობას. თუ კი ვინმეს ენიჭება სოფლად პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლებები, აქ სხვებთან ერთად პირველ რიგში უმიწა-წყლო და თავის შრომით მოვაჭრე გლეხობა უნდა იყვეს.

ამნაირათ ერთი მხრივ სოფლის მეურნეობის ნორმალურ განვითარებისათვის სრული ანგარიშის გაწევა და მეორე მხრივ სოფლად დაქირავებულ მუშა-ხელის ეკონომიური და უფლებრივი დაცვა—ასეთია დღევანდელი ამოცანა ჩვენი ადგილობრივათ მომუშავე პროფორგანოების და ინსპექციის.

აქ საჭიროა განსაკუთრებული მოქნილობა და გამჭრიახობა, რომ ცხოვრებაში უმტკივნეულოთ ტარდებოდეს პარტიისა და სახელმწიფოს მიერ დასახული ამოცანა.

მდგომარეობა ჩინეთში

„მანჩესტერ გარდიენ" ურჩევს ინგლისის მთავრობას მიბაძოს საბჭოთა კავშირის პოლიტიკას ჩინეთში

ინგლისელი ვაჭარ-მრეწველები უკმაყოფილო არიან დიპლომატების უხეში პოლიტიკით

შანხაის პროფკავშირთა საბჭომ გადასწყვიტა განაგრძოს გაფიცვა

დაპირდაპირებათა კვანძი

„იზვესტია"-ს წერილი

მოსკოვი, 11 აგვისტო. „იზვესტია" მოწინავე წერილში ასეთი სათაურით სწერს:

ჩინეთის ამბების გარშემო შექმნილი მდგომარეობა თანდათან რთულდება.

ამერიკის მთავრობა დაჟინებით მოითხოვს იმ ვალდებულებათა გატარებას ცხოვრებაში, რომელიც გამომდინარეობს ვაშინგტონის შეთანხმებიდან.

ჩინეთის მთავრობის წრებში თანდათან რწმუნდებიან, რომ ვაშინგტონის შეთანხმება უკვე აღარწარმოადგენს შესაფერ ბაზას ჩინეთსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, იმ დროს როდესაც ამერიკის მთავრობა გავლენას ჩინეთში ამყარებს ვაშინგტონის შეთანხმებაზე.

ინგლისის მთავრობას სურს დაკმაყოფილდეს მხოლოდ და მხოლოდ უბრალო კონფერენციით საბაჟო საკითხის შესახებ.

საფრანგეთი ერთის მხრივ სცდილობს გააძლიეროს ჩინეთში თავისი გავლენა და აძლევს თავის პოლიტიკას უფრო მეგობრულ ხასიათს, ხოლო მეორეს მხრივ ეძებს კომპენსაციას ინგლისთან მოსალაპარაკებლად გერმანიის და მაროკოს საკითხებზე.

ამავე დროს პრაქტიკული შესაძლებლობანი იმისი, რომ ძალით აიძულონ ჩინეთი დაემორჩილოს სახელმწიფოებს, თანდათან უსხლტებათ ხელიდან უკანასკნელებს.

ჩინეთის საკითხში უთანხმოებათა და წინააღმდეგობათა ამ რთული კვანძის დახლართვასთან ერთად ინგლისის მთავრობა შეუდგა საზღვაო შეიარაღების უდიდეს პროგრამის განხორციელებას და მას სახეში აქვს უმთავრესად წყნარი ოკეანე. რომ ეს ახალი პროგრამა მიმართულია იაპონიის წინააღმდეგ, ამას პირდაპირ აღიარებს ინგლისური პრესა, მაგ. მთავრობასთან ახლო მდგომი „დეილი ტელეგრაფი".

ამგვარად საერთო მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში სრულიადაც არ წარმოადგენს სახელმწიფოების დაახლოვების პოლიტიკის სურათს, არამედ, პირიქით,—თანდათან ღრმავდება და ძლიერდება მომავალ საომარ მეტოქეობათა საფრთხე",

ჩინელ ძმების დასახმარებლად

ბერლინი. 10 აგვ. სემარანგში (ჰოლანდიის ინდოეთი) კომპარტიამ მოაწყო მასიური მიტინგი ჩინეთში მომხდარ ამბების გამო. მიტინგმა მიიზიდა მრავალი ხალხი.

ჰოლანდიის ინდოეთის მთავრობამ აკრძალა შემოწირულებათა აკრეფა ჩინეთში იმპერიალისტების მსხვერპლთა სასარგებლოთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შემოწირულება მრავლათ შემოდის.

მილიტარისტების ძალადობა

პეკინი. 10 აგვ. ჩინეთის პოლიციამ დახურა მეწისქვილე მუშათა პროფკავშირი.

სამხედრო ხელისუფლება მოითხოვს ტრამვაის მოსამსახურეთა გაფიცვის შეწყვეტას.

მუშათა საერთაშორისო დახმარების ჩინეთის სექცია.

პეკინი. 10 აგვ. მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციის წარმომადგენელმა პეკინში ლინხარდტმა წაიკითხა ლექცია მუშათა საერთაშორისო დახმარების ამოცანების შესახებ.

აუდიტორია, რომელიც უმთავრესად შესდგებოდა სტუდენტებისა და მუშებისაგან, ერთსულოვანად მიესალმა მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციის ჩინეთის სექციის დაარსებას და აღუთქვა მას ყოველგვარი დახმარება.

„მანჩესტერ გარდიენის" წერილი

ლონდონი. 10 აგვ. ლიბერალური „მანჩესტერ გარდიენ"-ი სწერს:

„გავლენა, რომელიც აქვთ ბოლშევიკებს ჩინეთზე, აიხსნება იმით, რომ რუსეთმა უარი განაცხადა ექსტერიტორიალობის უფლებით სარგებლობაზე. ბოლშევიკები მოხერხებულათ სარგებლობენ ჩინელთა სულიერი განწყობილებით, უწევენ რა ანგარიშს ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ჩინეთში მომხდარ ცვლილებებს. იმ დროს, როდესაც ბოლშევიკები ანგარიშს უწევენ არსებულ მომენტს, ინგლისელები იქცევიან ისევე, როგორც ბოქსერთა აჯანყების დროს. თუ ჩვენ მოვექცევით ჩინელებს ისე, როგორც თანასწორუფლებიან ხალხს, მაშინ ჩვენთვის სასაცილო იქნებოდა მოსკოვის მისიონერების საქმიანობა".

კონსერვატიული გაზეთი „დეილი ექსპრესი" აღნიშნავს, რომ შორეულ აღმოსავლეთში ინგლისელი კომერსანტები უკიდურეს უკმაყოფილებას გამოსთქვამენ ინგლისის დიპლომატების „უხეში" დამოკიდებულებით ჩინეთის მიმართ.

მდგომარეობა შანხაიში

პეკინი, 10 აგვისტო. ჯერ კიდევ არ განახლებულა მუშაობა იაპონელების წარმოებებში შანხაიში. ამ დღეებში გაიმართა შანხაის პროფკავშირთა საბჭოს სხდომა, რომელზედაც დადგენილი იქნა მხარი დაუჭიროს ძველ მოთხოვნილებებს, გარდა მოთხოვნილებისა გაფიცვის დროის ხელფასის მთლიანად გასტუმრების შესახებ; უკანასკნელ მოთხოვნილების შესახებ გადასწყდა დასთანხმდენ გაფიცვის დროის ხელფასის 50 პროცენტის მიღებაზე. **მწარმოებლები განზრახ აჭიანურებენ მოლაპარაკებას. ამიტომ პროფკავშირთა საბჭომ უარი სთქვა მოლაპარაკების გაგრძელებაზე და გადასწყვიტა განაგრძოს გაფიცვა.**

გერმანიის რეიხსტაგში

მორიგი სკანდალი რეიხსტაგში

ბერლინი, 10 აგვისტო. რეიხსტაგის 10 აგვისტოს სხდომაზე კომფრაქციამ შეიტანა წინადადება საბაჟო კანონპროექტის გარშემო კამათის გადადების შესახებ და ამავე დროს ეჭვი გამოსთქვა, რომ ქვორუმი არის.

თავმჯდომარე, ნაციონალისტი გრეფი განზრახ აჭიანურებს კენჭის ყრას, რათა საშუალება მისცეს მთავრობის პარტიებს დაგვიანებულ დეპუტატებს მონაწილეობა მიიღონ კენჭის ყრაში, კომუნისტების სკამზე გაისმის ძახილი: „ბებერი სპეკულიანტი", გრეფი ამ სიტყვების წარმოთქმას აბრალებს კომუნისტ დეპუტატს შიუტცს, რომელიც ამ დროს დარბაზში არც კი ყოფილა და მოითხოვს, რათა უკანვე წაიღოს თავისი რეპლიკა და უკრძალავს შიუტცს 3 სხდომაზე დასწრებას.

ამის შემდეგ კომუნისტებს შეაქვთ წინადადება რეიხსტაგის იმ მოსამსახურეთათვის ჯამაგირების გადიდების შესახებ, რომელნიც ნორმაზე მეტს მუშაობენ დემოკრატების წინადადება კომუნისტების წინადადების უხუცესთა საბჭოსათვის გადაცემის შესახებ უარყოფილი იქნა მთავრობის პარტიების მიერ.

მაშინ კომუნისტებს შეაქვთ წინადადება, რათა უხუცესთა საბჭოს გადაეცეს განსახილველად საკითხი შიუტცის გამორიცხვის შესახებ (დეპეშის დასასრული მიღებული არ არის).

ვინ არის დამნაშავე

ბერლინი, 10 აგვისტო. უხუცესთა საბჭოს სხდომაზე კომუნისტები, სოციალ-დემოკრატები და ბურჟუაზიულ პარტიების წარმომადგენლებიც კი ამტკიცებდენ, რომ სკანდალური სცენები რეიხსტაგში გამოწვეულია გრეფის მიერ სხდომებზე დაუშვებელი საქციელის წყალობით. გრეფემ თვითონ აღიარა, რომ მან ჩაიდინა მთელი რიგი შეცდომები. მიუხედავათ ამისა კომუნისტების საჩივარი უარყოფილი იქნა, რადგან თავმჯდომარემ მოითხოვა, რათა კომუნისტები დამორჩილებოდენ მას.

მიუხედავათ მემარჯვენე პრესის განგაშისა, რომ კომუნისტები ობსტრუქციებს ახდენენო, უნდა აღინიშნოს, რომ კომფრაქცია მოითხოვს მხოლოდ საბაჟო კანონპროექტის ყურადღებით განხილვას.

მემარცხენე სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერენ კომუნისტების პროტესტებს.

პროვინციის მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული პრესა ამართლებს კომუნისტების მოქმედებას რეიხსტაგის უკანასკნელ სხდომაზე და სასტიკად აკრიტიკებს სოციალ-დემოკრატების პოზიციას. დადის ხმები, რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ნიშნავს სამედიატორო კომისიას მემარჯვენე და მემარცხენე წევრთა შორის მომხდარ გაუგებრობის გამოსარკვევად.

საინტერესოა ცენტრის პარტიების პოზიცია. ცენტრის მემარცხენე ფრთის ლიდერი, ყოფილი კანცლერი ვირტი მიემგზავრება, მარქსი განზე გამდგარი, ცენტრის ფრაქციის სახელით გამოდის ლიუტური, პარტიის მემარჯვენე ჯგუფის ლიდერის შტეგერვალდის თანამოაზრე. რეიხსტაგის მუშაობის დამთავრების შემდეგ გაიმართება პარტიის პრეზიდიუმის თათბირი, რომელიც განიხილავს საკითხს მთავრობის ბლოკთან ცენტრის პარტიის შეერთების შესახებ. ფიქრობენ, რომ ეს საკითხი დადებითად გადასწყდება, რაც გამოიწვევს ახალ კრიზისს პრუსიის კაბინეტში.

მემარჯვენე პრესა დასცინის ვეიმარის კონსტიტუციის წლის თავის მომავალ დღესასწაულს და აღნიშნავს, რომ ვეიმარის ბლოკი დიდი ხანია დაშარცხდა.

ამ წინადადებას უარყოფს მემარჯვენე უმრავლესობა. მემარჯვენეები, ბოლოს, ახერხებენ გაიყვანონ წინადადება კამათის გაგრძელების შესახებ საბაჟო კანონპროექტზე.

ამ დროს გამორიცხული შიუტცი შემოდის დარბაზში. გრეფმა ის ჯერ გამორიცხა რვა სხდომიდან, შემდეგ კი ოცი სხდომიდან. შიუტცი გააძევეს პოლიციის დახმარებით. პროტესტის გამოცხადებისათვის გააძევეს კომუნისტი ტოგლერი, რომელიც აგრეთვე პოლიციამ გაიყვანა.

კომუნისტები უყვირიან გრეფს: „მატყუარა, სპეკულიანტო". მაშინ გრეფმა სხდომიდან გამორიცხა კომუნისტი - დეპუტატი — მიუნცენბერგი, ნიდერმეიერი, ჰეშკე და ნეიბაუერი. კომუნისტები დარბაზიდან გაიყვანა პოლიციამ.

საბაჟო გადასახადების წინააღმდეგ

ბერლინი, 10 აგვისტო. „ფორვერტს"-მა გამოაქვეყნა საპროტესტო განცხადება სრულიად გერმანიის პროფკავშირთა (რეფორმისტული) გაერთიანებისა გერმანიაში სასურსათო პროდუქტებზე საბაჟო გადასახადის დაწესების წინააღმდეგ. განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს გადასახადები გამოიწვევენ ცხოვრების გაძვირებას და, ამასთან დაკავშირებით, ბრძოლას სამუშაო ხელფასის გადიდებისათვის.

დაპყრობილ ბესარაბიაში

ბალტა. 10 აგვისტო. ბესარაბიელი ლტოლვილები იუწყებიან, რომ ამ უკანასკნელ დღეებში რუმინეთის მთავრობა ძალიან შეაფიქრიანა ბესარაბიაში დაწყებულმა სიმშილობამ. მთავრობა, ამ ნიადაგზე მოსალოდნელ აჯანყებების შიშით, ბესარაბიაში თავს უყრის ახალ სამხედრო ნაწილებს და ჟანდარმერიის რაზმებს. გრძელდება ძველებურად მასიური დაპატიმრება ყველა იმათი, ვისაც შეამჩნევენ თანაგრძნობას კომუნისტებისადმი. მარტო ამ უკანასკნელ კვირაში კიშინევის ციხეში მოათავსეს 500-დე დაპატიმრებული. სამაზრო ციხეები სავსეა პატიმრებით.

რუმინიის ადმინისტრაცია შეშინებულია ბესარაბიაში დაბანაკებულ ჯარისკაცთა, უმთავრესად მოლდაველ ჯარისკაცთა, სულიერი განწყობილებით. ჯარში გახშირდა ბრძანებების შეუსრულებლობა. მოლდაველი ჯარისკაცები გადაჰყავთ რუმინეთში. დნესტრის ნაპირებზე მცხოვრებ ყველა გლეხებს, სიკვდილის შიშით, მი[illegible]

ჰოლანდიის მთავრობის პროგრამა

ბერლინი, 10 აგვისტო. ჰოლანდიის ახალი მთავრობის პრემიერ-მინისტრმა [illegible]

ლატვია, ინგლისი და საბჭ. კავშირი

რიგა, 10 აგვისტო. მემარჯვენე გაზეთი „ბრივა ზემე" სწერს, რომ ბალდვინმა აღუთქვა მეეროვიცს საექსპორტო კრედიტების მიცემა. გაზეთი აღნიშნავს: „ეს აიხსნება იმით, [illegible] რების მახლობლად. ჩვენ გვსურს დავიჯეროთ, რომ ლატვიის ახალი სეიმი არ გახდება ასეთი პოლიტიკის იარაღად".

ზომიერი მემარჯვენე გაზეთი [illegible]

რიგა, 10 აგვისტო. [illegible]

აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე

[illegible]

ბერლინი, 10 აგვისტო. [illegible]

კომუნისტური მიტინგი ამსტერდამში

ბერლინი, 10 აგვისტო. ჰოლანდიის [illegible]

ვრანგელი „მეზადება"

პარიზი. 10 აგვ. [illegible]

ბრიანი გაემგზავრა ლონდონში

პარიზი, 10 აგვისტო. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბრიანი გაემგზავრა ლონდონში ინგლისის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ.

აღმოსავლეთში

სპარსეთი

ცვლილებები მთავრობაში

თეირანი, 10 აგვისტო. [illegible]

მაროკოში

ფრონტზე

პარიზი, 10 აგვისტო. [illegible]

საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობა

მოსკოვი, 11 აგვისტო. [illegible] 1925—26 წლის [illegible]

რა ხდება უცხოეთში.

ავსტრიის ჯარში

თვითმკვლელობა და თვითმკვლელობის განზრახვა ავსტრიის არმიაში ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, გათავხედებულ ოფიცრობის უდიერ მოპყრობას და დაცინვებს სასოწარკვეთილებამდი მიჰყავთ ჯარის კაცები და ისინი სიკვდილს ამჯობინებენ, ვიდრე იმ რეჟიმის ატანას, რომელიც სამხედრო მინისტრმა ვოგუენმა, ქრისტიანულ-სოციალისტური პარტიის მონარქისტული ფრთის ლიდერმა შემოიღო.

უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ავსტრიის არმიაში ოცდაშვიდმა კაცმა მოიკლა თავი. შეიძლება ითქვას, რომ არსად ჯარში ამდენ თვითმკვლელობას არა აქვს ადგილი.

ავსტრიელი ჯარისკაცის მდგომარეობა პირდაპირ საშინელია. ავსტრიის მონარქიის დამხობის შემდეგ, სოციალ-დემოკრატიამ ერთ-ერთი თავისი ლიდერის იულიუს დეიჩის ხელით მოაწყო არმია. ვენაში, მაგალითად, ეს არმია თითქმის მთლიანად პროფკავშირების დამსახურებულ წევრებისაგან შესდგებოდა. მოკავშირეების დადგენილებით, ავსტრიას ჯარის შედგენის უფლება ჰქონდა მხოლოდ მოხალისეებისაგან, 12 წლის ვადით. უმუშევრობამ აიძულა მუშები დარჩენილიყვენ არმიის რიგებში.

კლასთა თანამშრომლობის მენშევიკურმა თეორიამ ავსტრიაშიც რევოლიუცია დამარცხებამდი მიიყვანა და ბურჟუაზია გააბატონა. სოციალ-დემოკრატებმა მათ მიერ შექმნილი არმია ვერ გამოიყენეს პროლეტარიატის ინტერესების დასაცავად, ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ჯარის ხელმძღვანელობა გადავიდა ბურჟუაზიის ხელში, რომელმაც „თავის კაცს“, ვოგუენს დაავალა არმიაში „წესრიგის“ დამყარება. ვოგუენმა დაიწყო იმით, რომ ოფიცრებს მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭა, რათა ჯარში საბოლოოთ აღმოფხვრილიყო „წითელი იდეები“ ოფიცრები, სამხედრო-მინისტრის მიერ წათამამებულნი, ისე გათავხედდენ, რომ ცემა-ტყეპა და ჯარისკაცების ლანძღვა-გინება ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა.

აი ერთი სურათი იმისა, თუ როგორ ეპყრობიან ჯარისკაცებს ავსტრიაში:

ჯარისკაცმა ჰანს ვიცმანმა სანიმუშო სროლის დროს სწრაფად ვერ ჩაკეტა საკეტი. „ჭკუის სასწავლათ“ ოფიცერმა ადოლფ კრისტმა ხიშტით „შეუხიცინა“ ზურგში ჯარისკაცს და მძიმეთ დასჭრა. ეს კრისტლის განმარტებით მოხდა იმიტომ, რომ მას „ხელში ეჭირა არა ჩვეულებრივი თოფი, არამედ საკუთარი თოფი რომელსაც უფრო მახვილი ხიშტი ჰქონდა“. ვიცმანმა თვითონ ვერ გაბედა საჩივარის აღძვრა და მისი დაჭრის შესახებ გაიგეს მხოლოდ ექიმის პატაკიდან.

ამ წესრიგის შედეგია ის, რომ ავსტრიის პატარა არმიაში, რომელიც მხოლოდ 30.000 კაცისაგან შესდგება, ორი წლის განმავლობაში თვითმკვლელობის 100 შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

ახლა სოციალ-დემოკრატია, რომელმაც თავისი პოლიტიკით თავი მოჰკვეთა პროლეტარიატს, თემზე სტირის. მათ სასტიკი იერიშები მიაქვთ ვოგუენზე, მაგრამ ამ კამპანიის არავითარი შედეგები არ მოჰყვა.

მაგალითისათვის მოვიყვანთ შემდეგ შემთხვევას;

28 მარტს, მრავალ შეკითხვების შემდეგ, პარლამენტმა ამოირჩია კომისია ჯარში თვითმკვლელობის მიზეზების გამოსარკვევად. მაგრამ სამხედრო იუსრისტებმა განაცხადეს, რომ კომისია ერევა არმიის მმართველობაში და არ მისცეს მას მოწმეების გამოწვევის უფლება, ნება დართეს მხოლოდ ნებაყოფლობითი ჩვენებათა შეკრებაზე.

როცა პარლამენტის კომისია ჩავიდა გრაცში, სადაც სულ მოკლე დროის განმავლობაში ექვს თვითმკვლელობას ჰქონდა ადგილი, ოფიცრებმა მოსთხოვეს კომისიას, რომ ჯარისკაცებს მათი თანდასწრებით მიეცათ ჩვენება. საპარლამენტო კომისია იძულებული შეიქნა დაბრუნებულიყო ვენაში და შეეწყვიტა თავისი მოღვაწეობა.

18 ივლისს სოციალ-დემოკრატებმა კვლავ შეიტანეს პარლამენტში შეკითხვები ჯარში გამეფებული საშინელი რეჟიმის შესახებ. სიტყვით გამოვიდა თვით იულიუს დეიჩი. მან განაცხადა, რომ ჯარისკაცებს ავსტრიის არმიაში ეპყრობიან, როგორც პირუტყვებს, სცემენ, დასცინიან. ოფიცრებს იშვიათ შემთხვევებში მხოლოდ „საყვედურს“ გამოუცხადებენ. ავსტრიის ჯარი იხრწნება, რადგან ზნეობრივად გარყვნილი ოფიცრები ვერ აღზრდიან ჯარისკაცებს, არამედ სულით მდაბლებს, მხდალებსო“—განაცხადა დეიჩმა.

სამხედრო მინისტრმა ვოგუენმა სოციალ-დემოკრატები პასუხის ღირსიც არ გახადა. მან საჭიროთ არ ჩასთვალა თავის შვებულება და აგარაკიდან ჩასვლა ვენაში. მის მაგიერ სოციალ-დემოკრატების შეკითხვაზე პასუხი გასცა... მიწად-მოქმედების მინისტრმა, რომელიც დაკმაყოფილდა ჩვეულებრივი ცარიელი ფრაზებით.

სოციალ-დემოკრატიის დაგვიანებული იერიშები არავითარ შედეგებს არ იძლევა.

მდგომარეობა ჯარში უცვლელია. თვითმკვლელობის ეპიდემია გრძელდება.

სწორეთ იმ დროს, როცა სოციალ-დემოკრატები შეკითხვებით და პარლამენტარულ ლაყბობაში იყვენ გართული, ავსტრიის ჯარში ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობის რამდენიმე ახალ შემთხვევას.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სრულიად საკავშირო ავტო-გადარბენისათვის.

მოსკოვი, 11 აგვისტო. მოსკოვში პარიზიდან ჩამოვიდა გერმანიაზე და პოლონეთზე ფირმა „ჟილეტის“ მოტოციკლებით 8 ფრანგი მოტოციკლისტი სრულიად საკავშირო ავტოგადარბენაში „მოსკოვი—ხარკოვი—მოსკოვი“ მონაწილეობის მისაღებად. მოსკოვის საავტომობილო კლუბში ჩამოსულთა პატივსაცემად გამართული იქნა ამხანაგური სადილი.

გერმანელი დელეგატები ივანოვო-ვოზნესენსკში.

ივანოვო-ვოზნესენსკი, 11 აგვისტო. 9 აგვისტოს ივანოვო-ვოზნესენსკში ჩავიდა გერმანიის დელეგაცია.

სადგურზე დელეგაციას მისალმენ მუშების და პიონერების წარმომადგენლები.

საპასუხო სიტყვაში ფეიქარმა კეწიგმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს დელეგაცია დარწმუნდა იმაში, რომ მსოფლიო ბურჟუაზია ავრცელებს ათასგვარ ჭორებს საბჭოთა კავშირის შესახებ.

10 აგვისტოს დელეგატებმა დაათვალიერეს ივანოვო-ვოზნესენსკის ფაბრიკები.

პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს დელეგატების ჯგუფის თავმჯდომარემ სოციალ-დემოკრატმა ოფერგაგენმა სთქვა, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელებმა მიაღწიეს დიდ წარმატებას კომპარტიის ხელმძღვანელობით და რომ გერმანიის მუშებიც გამოიტანებენ სათანადო დასკვნას დელეგაციის მოგზაურობის შედეგებიდან.“

ფინანსთა სახ. კომისარიატის განმარტება.

მოსკოვი, 11 აგვისტო. საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატის განმარტების თანახმად შინა-მრეწველებს და ხელოსნებს და აგრეთვე ამხანაგობებს აქვთ უფლება სარეწაო გადასახადის გადაუხდელად ივაჭრონ თავიანთი ნაწარმოებით გარდა ძვირფასი ქვებისა, ოქროსი და პლატინის.

გერმანიის მუშათა დელეგაცია სტალინოში

სტალინო, 10 აგვისტო. ჩამოვიდა გერმანელ მუშების დელეგაცია, რომელსაც სადგურზე მიეგებენ მუშათა მრავალი ორგანიზაცია და მაღაროს მუშები.

სადგურზე გაიმართა სახელდახელოდ მიტინგი, რომლის შემდეგ დელეგაცია გაემგზავრა რუტჩენკოვსკის მაღაროებში; გზაში კი დაათვალიერა მუშების უბანი, რომელსაც ეხლა აშენებენ. მაღაროებში დელეგაციის წევრები დაინტერესდენ შრომის პირობებითა და ხელფასით. დელეგაცია გააკვირვა ამერიკიდან ახლახან მიღებულმა გაუმჯობესებულმა მანქანებმა, მაღაროებიდან ნახშირის ამოსატანად. დელეგატებმა აღნიშნეს, რომ გერმანიის მაღაროებშიც კი არ იხმარება ამნაირი მანქანებით.

გერმანელ მუშების დაბრუნება ყირიმიდან.

მოსკოვი, 11 აგვისტო. მოსკოვში ყირიმიდან დაბრუნდა გერმანელ მუშების ჯგუფი. დელეგატები აცხადებენ, რომ საკურორტო საქმე საბჭოთა კავშირში საუკეთესოდაა მოწყობილი. დასავლეთ ევროპაში მუშები მოკლებული არიან მსგავს მზრუნველობა ს. დელეგატები გაემგზავრენ ტვერსა, ივანოვო-ვოზნესენსკსა და სხვა ქალაქებში.

კამჩატკის ნავთი.

მოსკოვი, 11 აგვისტო. ნავთის მრეწველობის საბჭოს ცნობით კამჩატკაზე ნაპირიდან 50 ვერსის დაშორებით აღმოჩნდა ნავთი.

უკრაინა

პროფესორ ტრინკლერის გარდაცვალება

ხარკოვი, 11 აგვისტო. ევპატორიაში გარდაიცვალა დამსახურებული პროფესორი, ხარკოვის ქირურგიულ კლინიკის დირექტორი და გამოჩენილი მეცნიერი ტრინკლერი.

უკრაინის სახკომმა გამოყო სპეციალური კომისია ტრინკლერის ცხედრის შესახვედრათ, და ცხედრის დაკრძალვის წესრიგის გამოსამუშავებლად. დაკრძალვა მოხდება მთავრობის ხარჯზე.

არამშრომელი ელემენტების გამოსახლება

არტემოვსკი, 11 აგვისტო. ბინის კრიზისის გამო ენაკიევოში, კონსტანტინოვკაში და დებალცევში, რაც გამოწვეულია დიდძალი მუშების ჩამოსვლით ახლად გახსნილ წარმოებებში, ქალაქის აღმასკომმა დაადგინა გამოსახლდეს ამ ადგილებიდან არამშრომელი ელემენტები. გამოსახლება დაიწყო.

ახალი წითელი მეთაურების გამოშვება

ალლუმი მოსკოვში

მოსკოვი, 11 აგვისტო. 9 აგვისტოს ოქტომბრის მოედანზე გაიმართა ალლუმი მოსკოვის ნორმალურ სამხედრო სკოლებიდან ახალ უმცროს კომანდირების გამოშვების გამო.

ალლუმებს დაესწრენ ფრუნზე, ენუქიძე, უნშლიხტი, ბუდიონი და აგრეთვე იაპონიის ელჩი, იაპონიის სამხედრო ატაშე და სხვ.

საბჭოთა კავშირის ცაკის სახელით ენუქიძემ განაცხადა კურსდამთავრებულები მუშურ-გლეხურ წითელ არმიის კამანდირებად.

მისალმა რა კომანდირებს, ფრუნზემ თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირის წარმატებანი სახალხო მეურნეობის აღდგენის და კავშირის ძლიერების განმტკიცების საქმეში ერთის მხრივ იმედს აძლევს ჩაგრულ ქვეყნებს და ხალხებს, ხოლო მეორე მხრივ იწვევს კაპიტალისტურ სახელმწიფოების სიძულვილს. ამიტომ საჭიროა გამოყენებული იქნას შესვენება უძლეველ წითელი არმიის მოსამზადებლათ ხალხთა ახალ შეტაკებათა და კლასიურ ბრძოლების მოლოდინში.

საპასუხო სიტყვაში ერთ-ერთმა წითელმა კომანდირმა განაცხადა: მთელ ცოდნას და ენერგიას, მთელ სიძულვილს კაპიტალისტურ ქვეყნებისადმი, ვსდებთ ფიცს, შევიტანოთ მუშურ-გლეხურ წითელ არმიის რიგებში.

დახმარება უღარიბეს გლეხობას

მოსკოვი, 11 აგვისტო. იმ ღარიბ გლეხთათვის დახმარების გაწევის მიზნით, რომელნიც შემოდგომაზე ჰყიდიან პურს და ხელახლა ყიდულობენ ახალ საკალენდარო წელს საკუთარი საჭიროებისათვის, შრომისა და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკს ფინანსიური დახმარება აღმოუჩინოს მათ. ფინანსიურ დახმარებას იძლევა პირველადი საკრედიტო და საკრედიტო-სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი. სესხის მიცემა პურის საწინდარში დაიწყება 15 აგვისტოდან. სესხი მიეცემათ საწინდრის შემტან გლეხებს არა უმეტეს 6 თვის ვადისა. საწინდრის სახით მისაღებ პურის რაოდენობა მიმდინარე პურის კამპანიის დროის ნავარაუდევია 40 მილიონ ფუთად.

საბჭოთა ავიაციის მიღწევები

ხარკოვი, 11 აგვისტო. ფრიდრიხსგაფენიდან მოფრინდა გერმანიის საჰაერო მსხვილ ფირმის „კომეტა-დორნიეს“ დირექტორი დორნიე, რომელსაც განზრახული აქვს გამოარკვიოს უკრაინაში საჰაერო მიმოსვლის ფართედ განვითარების შესაძლებლობა.

დორნიე აღფრთოვანებულია საბჭოთა ავიაციის მიღწევებით და აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირში ფრენოსნობა საუკეთესოდაა მოწყობილი და იგი არ ჩამოუვარდება გერმანიისასო. გერმანიის საავიაციო მრეწველობა დაეხმარება უკრაინის საავიაციო მრეწველობას თავისი გამოცდილებით, ხაზებით და ტეხნიკური მასალებით; ამ მიმართულებით უკვე სწარმოებს მოლაპარაკება უკრაინის საჰაერო მიმოსვლის ხაზოგადოებასთან; მოლაპარაკება ნაყოფიერად დასრულდება.

ბრინჯაოს ფულები

ლენინგრადი. 11 აგვისტო. ბრინჯაოს ფულების მოჭრას სპილენძის ფულების ნაცვლად. განზრახულია დაიწყოს მომავალი წლიდან.

ბრინჯაოს ფულების გამოშვების შემდეგ სპილენძის ფულების მოჭრა საბჭოთა კავშირში სრულებით შეწყდება.

ბრინჯაოს ფულები გამოიშვება იმავე ღირებულების, რაც სპილენძისაა, მაგრამ სრულებით ახალი სახის.

მოჭადრაკეთა ყრილობის გახსნა

ლენინგრადი. 11 აგვისტო. 10 აგვისტოს დიდის ზეიმით გაიხსნა 4-ე სრულიად საკავშირო საშახმატო ყრილობა და შეჯიბრება.

საშახმატო მოხელეების შეჯიბრება დაიწყება 11 აგვისტოს, სრულიად საკავშირო შეჯიბრება ჭადრაკების კი 12 აგვისტოს.

შვიდი კაცი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ შეჯიბრებში და მიიღებენ ჯილდოს, მივლინებულ იქნებიან მოსკოვში საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ.

ამხ. კატოვსკის მოკვლის გამო

კატოვსკის დაასაფლავებენ ბირზულში.

ბალტა, 10 აგვისტო. მოლდავიის ცაკის სესიამ დააკმაყოფილა ბირზულის მუშების და გლეხების შუამდგომლობა კატოვსკის ნეშტის ბირზულში დაკრძალვის შესახებ, სადაც კატოვსკიმ პირველათ შეადგინა ცხენოსანთა ნაწილი და მისი მეთაურობით პირველად ბრწყინვალედ გაიმარჯვეს მტერთან ბრძოლაში.

კატოვსკის ცხედრის ბირზულში გადატანა.

ადესა. 11 აგვისტო. კატოვსკის დამკრძალავმა კომისიამ დაადგინა, რათა კატოვსკის ნეშტი გადატანილ იქნას ბირზულში.

კატოვსკის კუბოსთან თავს იყრიან ათეული ათასი მოქალაქენი. ცხედარი შემურვილია პროფესორ კონდრატიევის მიერ.

დელეგაცია კატოვსკის დასაფლავებაზე.

მოსკოვი. 11 აგვისტო. კატოვსკის დასაფლავებაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან გაემგზავრა დელეგაცია საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს, მუშათა და გლეხთა წითელარმიის ინსპექტორის ბუდიონის, უმაღლეს სასწავლებლის უფროსის იაკირის და პოლიტ-სამმართველოს უფროსის მოადგილე ლანდას შემადგენლობით.

კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის სამძიმარი.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამხედრო-რევოლიუციონურმა საბჭომ ხარკოვში უკრაინის სამხედრო ოლქის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს, ამხ. კატოვსკის მოკვლის გამო შემდეგი სამძიმარის დეპეშა გაუგზავნა:

კავკასიის წითელდროშოვან არმიის წითელ-არმიელები, მეთაურთა და პოლიტშემადგენლობა ღრმად დამწუხრებული არიან წითელი ცხენოსანი არმიის დაუვიწყარი გმირის, ყველასათვის საყვარელი კორპუსის უფროსის ამხ. კატოვსკის სიკვდილის გამო. მისი უანგარო თავდადებული სამსახური რევოლიუციის საქმისადმი, მის გმირობას ბრძოლაში არასოდეს არ დაივიწყებს მუშურ-გლეხური ქვეყანა და ის იქნება საუკეთესო მაგალითი წითელარმიის მომავალი მუშაობაში.

კავკასიის წითელდროშოვან არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს წევრნი:—კორკი, ელიავა, ლუკაშევი, რატნეკი.

სხვა და სხვა ამბები

— **პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა სტამბოლი-ბერლინი.** ოსმალეთის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს იუნკერსის ფირმასთან სტამბოლ-ბერლინს შორის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის მოწყობის შესახებ.

— **ებრაელების დარბევა.** რუმინელმა ფაშისტებმა მთელ რიგ ქალაქებში მოაწყვეს ებრაელთა დარბევა. ბუქარესტში და სხვა დიდ ქალაქებში ებრაელებს ქუჩაშიც კი ესხმიან თავს.

— **40 საათი ჰაერში.** ფრანგმა მფრინავებმა დრუენმა და ლანდრიმ დაამყარეს ფრენის ხანგრძლივობის ახალი რეკორდი. მათ ჰაერში დაჰყვეს 40 საათი და 30 წუთი. ამ ხნის განმავლობაში მფრინავებმა გაიარეს 4100 ვერსი. უკანასკნელი ცნობებით დრუენი და ლანდრი განაგრძობენ ფრენას.

— **კუკი წინასწარმეტყველებს პოლიტიკურ კრიზისს.** დერგემში (ინგლისი) გამართულ მუშათა კრებაზე ინგლისის სამთო-მადნო მუშათა ლიდერმა კუკმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, წლის განმავლობაში დღევანდელი პარლამენტი დათხოვნილი იქნება და შესდგება ახალი არჩევნები, ვინაიდან არსებული სამრეწველო კრიზისი მიიღებს პოლიტიკური კრიზისის ხასიათს. ამასთან შეფარდებით საჭიროა პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს ძალების გაძლიერება. პროფკავშირთა წევრებმა უნდა აიღონ ხელში პროფკავშირების ხელმძღვანელობა და მათი რეორგანიზაცია მიმდინარე ამოცანებთან შეფარდებით.

— **საბჭოთა რადიო-სადგური ჩინეთში.** ქალაქ ჩუგუჩაკში (დასავლეთ ჩინეთი) შენდება საბჭოთა რადიოსადგური.

— **საფრანგეთის მუშათა და გლეხთა კავშირი.** ლიონის რაიონის მუშათა და გლეხთა ყრილობას დაესწრო 850 დელეგატი, 850000 მშრომელის წარმომადგენელი. ყრილობამ განიხილა სხვა და სხვა პოლიტიკური საკითხები და მოიწონა მოქმედების კომიტეტის ღონისძიებები.

— **ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ ამერიკაში.** ამერიკის შრომის ფედერაცია აფრთხილებს პროფკავშირის წევრ ზანგებს არ მიიღონ მონაწილეობა მუშა-ზანგების კონგრესში, რომელიც მოწვეულია ჩიკაგოში 10 ოქტომბრისთვის. ფედერაცია აცხადებს, რომ კონგრესის მოწვევის ინიციატივა ეკუთვნის კომუნისტებს, რომლებიც ასრულებენ „მოსკოვის დირექტივებს“, ფედერაცია იძულებულია აღიაროს, რომ კონგრესში მაინც იღებს მონაწილეობას ზანგთა რამდენიმე პროფკავშირი და აცხადებს, რომ ყველა კომუნისტები, როგორც კი მათ აღმოაჩენენ, გამორიცხულ იქნებიან კავშირიდან.

ა.-კ. ფედერაციაში

საქართველო

თელავის მაზრა.

წვიმა და სეტყვა.

თელავი, 11 აგვისტო. 6 აგვისტოს ალაზნის გაღმა სოფლებში მოვიდა ძლიერი წვიმა სეტყვით. ნიაღვარმა ჩარეცხა გზები, დაზარალდა ნათესები და ვენახები. ყველაზე მეტად დაზარალდენ სოფლები: ენისელი, ჯილდა, ყვარელი და ახალსოფელი.

მსხვილფეხა საქონლის ჭირი.

თელავი. 11 აგვისტო. ჭირის ეპიდემია შემჩნეულია სოფელ ყვარელში, ბალაურში, ახმეტაში და ალვანში. საზეითლო პერსონალი აწარმოებს აცრას.

მოძრავი პარტსკოლა.

თელავი, 11 აგვისტო. სოფელ ახმეტაში დამთავრდა მეცადინეობა მოძრავ პარტსკოლაში. კურსი დაამთავრა 34 გლეხმა, მათ შორის 10 ქალია.

სათემო აღმასკომების ბიუჯეტები.

თელავი, 11 აგვისტო. ფინანსთა სახ. კომისარიატის ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით მაზრაში ადგენენ სათემო აღმასკომების ბიუჯეტებს. ამ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ პროფორგანიზაციებიც.

ქერის და ხორბლის დამზადება.

თელავი, 11 აგვისტო. „ხლებოპროდუქტი“ წარმოკავშირის საშუალებით შეუდგა ქერის და ხორბლის დამზადებას.

სპეკულიანტების მიერ ხელოვნურად დაწეული ფასები ხორბალზე გაიზარდა.

პურის შემოტანა ამიერ კავკასიაში

მოსკოვი. 10 აგვისტო. საკავშირო შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ამიერ-კავკასიაში შემოსატანი პურის რაოდენობა განსაზღვრა 13 ნახ. მილიონ ფუთით. აუცილებლად არის ცნობილი, რომ „ხლებოპროდუქტმა“, სახელმწიფო ბანკმა და სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ მთავარ საბამბო კომიტეტთან დადებული სპეციალური ხელშეკრულებით ამიერ-კავკასიის მებამბეობის რაიონებში შეიტანონ 1.800.000 ფუთი ხორბალი.

„ხლებოპროდუქტს“ დაევალა დამზადოს ამიერ-კავკასიაში კოოპერაციის საშუალებით ერთი მილიონი ფუთი საექსპორტო სიმინდი.

ტყვარჩელის ქვანახშირი

ა. წ. აგვისტოს 7 აფხაზეთის ეკონომიურმა საბჭომ მოისმინა ინჟ. გ. ანდრონიკაშვილის მოხსენება. ტყვარჩელის ქვანახშირის საქმისა და მომავალში ამ საქმესთან დაკავშირებული რკინის გზისა და ნავთსადგურის აღმშენებლობის შესახებ მომხსენებლის ცნობებიდან გამოირკვა, რომ ტყვარჩელის ქვანახშირის მნიშვნელობა, როგორც ქვანახშირის დიდი მარაგისა იმდენად დიდია, რომ მისი მხოლოდ ერთი გამოკვლეულ მიდამოს რაოდენობა (გალიზგა—შახმე, ზელიკვარი და აგირიმ-დისტანლის მარცხენა შტოები), რომელიც შეადგენს მხოლოდ ნაწილს, უზრუნველჰყოფს ქვანახშირის მსხვილ წარმოებას 50 წლით, რომ ყოველწლიურად 50 მილიონი ფუთი ქვანახშირი იქნეს ამოღებული.

ქვანახშირის ბუდობა და გეოგრაფიული მდებარეობა ისეთია, რომ შესაძლებელია მის ახლოს, ზღვიდან 30 ვერსის მანძილზე, მოეწყოს ნავთსადგური, ოკეანის გემებისათვის. რკინის გზის საშუალებით შესაძლებელი იქნება ქვანახშირის მაღაროებთან დაკავშირება. ამით საშუალება მიეცემა ახლო-მახლო ქვეყნებს, რომლებიც საჭიროებენ ქვანახშირს, ისარგებლონ ზემოაღნიშნული ნავთსადგურით თავიანთი გემების დასატვირთავათ.

ეკონომიური აუცილებლობა მოითხოვს აშენდეს შავი ზღვის ნაპირზე ბაზა მაგარი მინერალური სათბობის მისაღებად ზღვაოსნობისათვის, რკინის გზისათვის, მრეწველობისათვის და ლითონის წარმოებისათვის.

ამასთან გამოირკვა, რომ აღნიშნული რაიონი საექსპლოატაციოთ არ არის მოწყობილი.

ზემოაღნიშნულის გამო ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ და თანდროულად სცნო ტყვარჩელის ქვანახშირის მოსამზადებელი და გამოსაკვლევი მუშაობის დაწყება. გარდა გამოკვლეულ მიდამოებისა უნდა გამოკვლეულ იქნეს დანარჩენი ქვანახშირის ადგილ-მდებარეობა, მისი ღირსება, რაოდენობა და სხვა.

აღნიშნული მუშაობა უნდა შევიდეს საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს სამთო განყოფილების და გეოლოგიურ კომიტეტის 1925 | 26 წლ. მოქმედების გეგმაში.

რკინის გზისა და ნავთსადგურის აღმშენებლობის დარგში ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო მოეწყოს ტყვარჩელ-ოჩემჩირის გზის და ოჩემჩირის და სოხუმის ნავთსადგურის გამოკვლევა.

ამ მიზნით საგეგმო კომისიასთან მოეწყო კომისია მუშაობის გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის შესადგენად.

ჟორდანია-რამიშვილის კავშირი რუს მონარქისტებთან

გაზ. „ახალ საქართველო“-ში (№ 8) მოთავსებულია საყურადღებო მასალები ქართველი კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაციის შესახებ. რღვევის პროცესი ემიგრაციაში, აგრეთვე მისი ზოგიერთი ჯგუფების ერთგვარი გამოფხიზლება კარგა ხანია დაიწყო. ამ გამოფხიზლების მაჩვენებელია, სხვათა შორის, „პოლიტიკურ ემიგრანტ მუშათა დეკლარაცია“ და ბერლინის სტუდენტთა დეკლარაცია“, რომლებიც ამას წინად ჩვენს გაზეთშიც იყო გამოქვეყნებული.

დღეს მოგვყავს ნაწყვეტი ძველი მუშა-მენშევიკის ვანო ალიხანაშვილის წერილიდან სათაურით: „მენშევიკური პარტიის დარღვევის ისტორიიდან. მოწოდება სოციალ-დემოკრატიულ მუშებისადმი“, რომელიც მოთავსებულია „ახალი საქართველო“-ს ხსენებულ № ში.

ავტორი ქართველი სოციალ-დემოკრატიის მეთაურებს, ჟორდანია - რამიშვილებს უყენებს მთელ რიგ მძიმე ბრალდებებს, რომელთაგან მთავარია ბრალდება მათი „თანამშრომლობის“ შესახებ რუს შავრაზმელებთან, მონარქისტებთან.

ალიხანაშვილი შემდეგ კითხვებს აძლევს ჟორდანია-რამიშვილს:

„დასასრულ მინდა რამოდენიმე კითხვა მივსცე ჩვენს, პარიზში მყოფ მეთაურებს.

1. რა ნათესაობა აქვს ქართულ დელეგაციას პარიზში და ჟორდანიას მთავრობას რუს მონარქისტულ ოფიცერთა ორგანიზაციასთან? ამ ორგანიზაციამ ოფიციალ. მოუღლოცა აჯანყების დაწყება ლეგაციას და აპირდა დახმარებას ბოლშევიკებთან ბრძოლაში მონაწილეობის მიღებით.

2. რა ურთიერთობის ძალით მოხდა, რომ მონარქისტის ბ. სუვორინის გაზეთი ლეგაციის ოფიციოზად გახდა აჯანყების დღეებში და რამ უკარნახა ნ. რამიშვილს ამ გაზეთში დაეწერა თავისი ინტერვიუ აჯანყების მსვლელობის შესახებ, ან ვინ მისცა ამის უფლება?

3. რისთვის მოვიდა აჯანყების დროს ლეგაციაში ნიკ. ნიკ—ჩის რწმუნებული ვარანცოვ-დაშკოვი, კავკასიის „ნამესტნიკის“ შვილი და რას ნიშნავდა ის საიდუმლო თათბირი, რომელიც სწარმოებდა ჟორდანიას მთავრობასთან იქ? ალბად, ესეც „ტრადიციულ სტუმართმოყვარეობით“ აიხსნება!

4. ხომ არ ამზადებს ახალ აგვისტოს ავანტიურის დღეებს პარიზის პარტიული კომიტეტი?

5. რატომ არ უარყოფენ ჟორდანია-რამიშვილი გაზეთებში გამოქვეყნებულ იმ წერილს, რომელშიაც ისინი ახალ ინსტრუქციას იძლევიან პარტიზანული მოქმედებისათვის საქართველოში და ურჩევენ თავიანთ მომხრეებს ხიდების, პორტების და გზების დანგრევა-აფეთქებას.

6. ვისი დავალებით მოაწყო ალ. ახათიანმა პოლონეთის რეაქციონურ ჯარში ჩვენი „დემოკრატიული“ ოფიცრობა, ან რა პატრიოტულ მოვალეობას ასრულებენ ისინი ამ ჯარში.

7. რათ არ გამოაქვეყნეთ ვალიკო ჯუღელის წერილი, მონაწერი, თქვენდამი მეტეხის ციხიდან, რომელშიაც იგი მოუწოდებდა ჟორდანიას მთავრობას უკუეგდო აჯანყების გზა და ლიკვიდაცია მოეხდინა დასაწყებ აჯანყებისათვის.

8. რათ ემუქრებით პოლიტიკური ტერორით საბჭოებისადმი ლოიალურად განწყობილ მუშებს, როცა ამავე დროს [illegible] ბ. ჟორდანია [illegible] საგრძნობელ [illegible] მოლაპარაკებათ.

9. რატომ დაუმალეთ პარი მუშებს გ. ლორთქიფანიძის, ა. ბუაძის, ს. ჯიბლაძის და სხვ. ამ ნაგების მიერ ციხიდან გამოგზ ნილი წერილი, რომელშიაც ის მოითხოვდენ ჟორდანიას მთავ ბის, საზღვარგარეთ ყველა პ ტიულ და ემიგრაციულ ორგანი ციების დაშლას და საბჭო ცნობას.

10) რა პასუხი მოსთხოვა სოცი ლისტურმა ყ. მთავრობამ და ბ. ნ. ჟორდანიამ ბ. გვარჯალაძეს სპირიდონ კედიას იმ სამარცხ საქციელისათვის, რომელიც ჩაიდინეს სტამბოლში ყოფნის დ 1922 წელ. როცა ერთ-ერთ სახე წიფოს ცნობილ დაწესებულ მიჰყიდეს ცნობები წითელი ჯ რაოდენობის და მისი ადგილმ დანიშნულების შესახებ.

ბ. კედიას და გვარჯალაძეს თი საქციელი რითი იქნა გამარ ბული ჩვენი ბელადების მიერ, ცა ეს ფაქტი თავის დროზე დღესაც ასე აღელვებს ჩვენ მ ამხანაგებს“.

საზღვარ-გარედ გადახვეწილი შევიკები ისე გაიხრწნენ და დაე რომ მუშურ-გლეხურ ხელისუფ თან ბრძოლაში ისინი უკავშირდ ნიკოლოზ რომანოვებს, რომელთა ზანია მშრომელთა კვლავ ჩაგ მეფის სულთამხუთავი რეჟიმის დებში. ცხადია, რომ ემიგრა ქვედაფენები, რომელნიც ყველა ამას ხედავენ, საბოლოოდ შეი თხებენ მონარქიის ამ აგენტებს, ხედავად იმ დამონებისა და ტ რისა, რომელსაც მიმართავენ შვილები „ურჩების“ გასაჩუმებლ ეს დრო არც ისე შორსაა.

პარტიული ცხოვრება

პარტუჯრედების ღია სხდომების შესახებ

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენი კომუჯრედები აწყობენ ღია სხდომებს, რომლებსაც ესწრებიან უპარტიონიც. და უნდა ითქვას, რომ ღია პარტსხდომების ამ პრაქტიკამ საპატიო ადგილიც დაიკავა უპარტიოთა შორის მუშაობის სისტემაში.

როგორც ვიცით, უჯრედების ღია სხდომები მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ არა მარტო იმიტომ, რომ ამ ღია სხდომების საშუალებით შესაძლებელი ხდება პარტიის უპარტიო მასსებთან დაახლოება, არამედ იმიტომაც, რომ ამ ღია სხდომების მეოხებით პარტია ჰქმნის თავის გარშემო უპარტიოთა აქტივს, რომელიც საუკეთესო წყაროა პარტიის შემდეგი ზრდა-განვითარებისათვის.

მაგრამ აქ სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ღია სხდომების ასეთი მნიშვნელობა სოფლის ზოგიერთ პარტუჯრედების მიერ სრულიად დაუფასებელი რჩება. საქმე იმაშია, რომ ისინი ჯერ კიდევ ვერ გასცილებიან პარტმუშაობის ძველ ფორმებს და თავიანთ სხდომებზე არჩევენ ისეთი ხასიათის საკითხებს, რომლებიც სრულიად არ მოითხოვენ დახურული სხდომების მოწყობას. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ უჯრედების სხდომებს ეკარგებათ ერთგვარი სიცხოველე და აქტივობა.

ეს უთუოდ არანორმალური მოვლენაა.

დღეს, როდესაც პარტიის მიერ გადმოსროლილია ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ“ და ამ ლოზუნგის უმთავრესი შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ მხურვალეთ ჩავაბათ ჩვენი გლეხკაცობა ახალი სოფლის შენების საქმეში,—დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს ასეთი გულგრილობა უჯრედების ღია სხდომებისადმი, რომლებზედაც უნდა ირჩეოდეს სოფლის ყველა საჭირბოროტო საკითხები.

დროა სოფლის კომუნისტებმა გაუწიონ ამ გარემოებას სათანადო ანგარიში, დროა, რომ მათ კარგად შეისისხლხორცონ პარტიის ახალი კურსი უპარტიო გლეხობისადმი.

გულწრფელად უნდა ვსთქვათ, რომ არაფრად არ ვარგა ის კომუნისტი, რომელიც სოფლის უპარტიო გლეხს არ მიიზიდავს თავის სხდომებზე და არ დააინტერესებს მას სხდომის დღის წესრიგში დასმულ საკითხების გარჩევაში.

არაფრად ვარგა არც ის კომუნისტი, რომელიც უსაფუძვლო შიშს მისცემია და „კონტრ-რევოლიუციას“ ხედავს უპარტიო გლეხის ჯანსაღ და გულახდილ კრიტიკაში.

ადგილებზე იმ მომუშავე პარტამხანაგებმა, რომლებიც ასეთ შიშს განიცდიან და ამ ნიადაგზე ერიდებიან უჯრედების ღია სხდომების მოწყობას,—უნდა იცოდენ, რომ გლეხურ კრიტიკას სარგებლობის მოტანის მეტი არაფერი მოაქვს. გლეხობამ დიდი ხანია იცნო კომუნისტური პარტია თავის მებაირახტრეთ და ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღებით მოვეპყროთ მათ თვითეულ ხმას.

აი ამისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ სხვა ღონისძიებებთან ერთად ჩვენმა სოფლის უჯრედებმა ხშირ-ხშირად და სისტემატიურად მოიწვიონ ღია სხდომები, რომლებსაც უპარტიოთა შორის მუშაობაში მოაქვს მეტად დიდი ნაყოფი.

ა—ე.

როგორი მეთოდი უმჯობესია პარტიული მუ თვითგანვითარებისათვის

იქ, სადაც თვითგანვითარება არ ატარებს განყენებული მეცადინეობის ხასიათს, იქ, სადაც, პირიქით, თვითგანვითარებაში გარდატეხილია ჩვენი ცხოვრების აღმშენებლობის საკითხები ანუ თვითგანვითარების გზით სცდილობენ ამ საკითხების შინაარს ჩასწვდენ, იქ, რასაკვირველია, თვითგანვითარებაც კოლექტიური მუშაობის გზით მიიმართება.

მართალია ცხოვრება აყენებს კოლექტიური თვითგანვითარების მოთხოვნილებას, მაგრამ საჭიროა განვიხილოთ რამდენად გამართლებულია ეს გზა.

პირველი დადებითი თვისება კოლექტიურ თვითგანვითარების ისაა, რომ მისი საშუალებით ჩვენ ვაღწევთ ხელმძღვანელ ძალთა დიდ ეკონომიას.

რამდენად აზრდება ჩვენი მუშების თვითგანვითარების ლტოლვა, იმდენად უფრო მკაცრად სდგება საკითხი ხელმძღვანელ პირთა მიზანშეწონილ გამოყენების შესახებ. რაგინდ თვითმომქმედი არ იყოს თვითგანვითარებით დაინტერესებული რომელიმე პირი, ჩვენ მაინც უნდა დავეხმაროთ მას რჩევით, სათანადო პროგრამისა და ლიტერატურის მითითებით და სხვა. ამიტომ კოლექტიური მეთოდით მუშაობის დროს ხელმძღვანელს თითქმის იმდენივე შრომა დაეხარჯება 10 ან 15 ჯგუფზე, სადაც თვითეულ ჯგუფში 5—10 კაცი იქნება, რამდენიც 10—15 წევრის ხელმძღვანელობაზე.

ამნაირად ხელმძღვანელ ძალთა ეკონომიის თვალსაზრისით კოლექტიური მეთოდი გაცილებით უმჯობესია, ვინემ სხვა მეთოდი, რადგან ჩვენ საგრძნობლად ღარიბი ვართ მომზადებულ, ხელმძღვანელად გამოსადეგ პირებით.

ერთი ძირითადი პირობა ჯგუფში ნაყოფიერი მუშაობისათვის არის ის, რომ ჯგუფის წევრები ერთნაირი მომზადებით უნდა იყვნენ გამსჭვალული, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი-მეორეს ხელს შეუშლიან.

ამხ. კრუპსკაია კოლექტიური მეთოდის შესახებ შემდეგს გვეუბნება: „ყოველივე იმაზეა დამოკიდებული თუ როგორ იქნება მეცადინეობა დაყენებული ჯგუფში. თუ წ თავის დროზე დადიან, რიგი ასრულებენ თავიანთ მოვალ ცხადია, მეცადინეობაც უფრო ნომიური იქნება.

კოლექტიური მუშაობა დრ ეკონომიას იწვევს... მუდმივი აზ გაცვლა-გამოცვლა ხელს უწყობს რავლესობას გაერკვიოს ყოვე ბუნდოვან და ძნელ ადგილ დისკუსია ხელს უწყობს მეცადინე ბისადმი ინტერესის გაძლიერებ აზრს ახალ მუჟლუგუნებს ჰკრ გარდა ამისა კოლექტიური მუშაო ხელს უწყობს მუშაობის სიმტკ და მის გაცხოველებასო“.

კოლექტიური მეცადინეობის რატესობა დამოუკიდებელ ინდ დუალურ მეცადინეობასთან სხ შორის იმაშიც მდგომარეობს, კოლექტიური მუშაობის პროც თვითეული აზრის მიღება შე გაცხოველებული კამათისა, ცხადია, ადგილი არა აქვს და კიდებელ მუშაობის დროს, ამი ის, რაც ზერელედ აისახება გონებაში, ის მალეც და გავიწყ კოლექტიური მუშაობის პროც მიღებული აზრი კი გაცილ მტკიცეა.

შემდეგი დადებითი თვისება ლექტიურ მუშაობის ისაა, რომ ნი მუშები წიგნს ფიზიკური მით დაქანცულნი ჰკიდებენ ხელს ხშირად რამდენიმე წუთის შემ ძილი მოერევა—ჯგუფში კი უფრო ძნელად დასძლევს, რა აზრის გარკვევაში ყველა დაინ რესებულია, ყველა მონაწილეო იღებს.

ერთი უმთავრესი დამახასიათე ლი თვისება კოლექტიური მეთო სა კიდევ იმაში მდგომარეობს, ის ამხანაგებს აჩვევს გარკვე სისტემით მეცადინეობას, გარკვე დროს თავის მოყრას, გარკვე საათების განმავლობაში მუშაო და სხვა.

ამგვარად კოლექტიური მეთო თვითგანვითარებისათვის მრა მხრივ გამოსადეგია იმ პირობებ რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით.

ა. კ—ძე.

წერილები ადგილებიდან

პარტმუშაობა სენაკის მაზრაში

სენაკის პარტიული ორგანიზაცია აერთიანებს რვა რაიონულ კომიტეტს 99 უჯრედით, რომლებიც თავის გარშემო ითვლიან 845 წევრს და კანდიდატს. პარტიის წევრებს შორის პოლიტიკური განვითარება საგრძნობლად მოისუსტებს. უჯრედებში საკმაოდ მოიპოვებიან ისეთი წევრები, რომლებმაც წერა-კითხვაც არ იციან. რაც შეეხება დისციპლინას, უნდა ითქვას, რომ მაზრის ზოგიერთ უჯრედებში ის ვერ იდგა თავისი დანიშნულების სიმაღლეზე, მაგრამ სათანადო ორგანოების მიერ მიღებულ ზომების შემდეგ, მდგომარეობა ამ მხრივ გაუმჯობესდა. ხშირად ეწყობა უჯრედების ღია სხდომებიც. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ადგილობრივი უპარტიო გლეხკაცობის ლტოლვა პარტიისაკენ მეტად დიდია. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაზრის რაიონებში დღემდე მუშაობა კოჭლებდა. მიზეზი კი ამისა ის იყო, რაიკომებს არ ჰყავდათ მომზადებული პა ხისმგებელი მდივნები. ის ორი ინსტრ ტორი კი, რომელიც სამაზრო კომიტ განკარგულებაში არის, ვერ ასწრებ ყველა უჯრედების და რაიკომების და ლიერებას, რომ მათთვის მიეცათ სათა დო რჩევა-დარიგებანი. სამაზრკომმა დ ზე მიაქცია ამ გარემოებას ყურადღ და ეს ნაკლი დღეს ნაწილობრივად გამო წორებულია. მაგრამ ამ ნაკლის საბ გამოსწორება შესაძლებელია მაშინ, რო საც ცენტრიდან ამ ხანმოკლე დროის მავლობაში გამოგზავნილი იქნებიან შე ული და სოფლად მუშაობის კურსში ფი ამხანაგები.

დ. ვაჩეიშვილი.

ქალთა შორის მუშაობა ლეჩხუმის მაზრაში

საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებში ლეჩხუმის მაზრაში ქალთა შორის მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებდა. ამის უმთავრესი მიზეზი კი ის იყო, რომ ადგილობრივად არ იყო ჩამოყალიბებული ქალთა ორგანიზაციები. მაგრამ ა | წ. ივნისის პირველ რიცხვებში ცეკას ქალთა განყოფილების მიერ გამოგზავნილი იქნა ქალ-ორგანიზატორი ამხ. ი. ყრუაშვილი, რომელმაც თავისი ენერგიული მუშაობით შესძლო უკვე ჩამოყალიბებია 16 ქალთა ორგანიზაცია. ამჟამად ამ ორგანიზაციებში იყრის 221 დელეგატ-ქალი, რომლებიც ბმული არიან სხვადასხვა წრეების მეც ნეობაში. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ლე მის მაზრის პარტორგანიზაციის უშუ ხელმძღვანელობით ქალთა შორის მუშა კიდევ უფრო მეტად გამოცხოველდება ქალთა ორგანიზაციებში ჩაბმული იქნება მშრომელ გლეხ-ქალთა ფართე ნა ბიც.

ორი ქ. კ—ნი.

გერმანიის მუშათა დელეგაცია საქართველოში

აჭარისტანში

სახკომსაბჭოში

ბათომი, 10 აგვისტო. სასტუმრო „ფრანცია“ში ამხანაგური სადილის შემდეგ გერმანიის მუშათა დელეგაციამ ინახულა სახალხო კომისართა საბჭო, სადაც დელეგაციას მიესალმა სახ. კომისართა საბჭოს მოადგილე აბდიმა, რომელმაც გერმანელ ამხანაგებს გააცნო აჭარის სახალხო მეურნეობის მდგომარეობა, მშენებლობა და საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები.

მელლეს სიტყვა

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა დელეგატმა მელლემ, რომელმაც სთქვა: „ჩვენი მოგზაურობა თავდება ჩვენ ბედნიერი ვართ გერმანიის მუშათა კლასის სახელით გადავსცეთ სალამი აჭარის მშრომელებს. საქართველოს და ამიერ კავკასიის ფედერაციის სხვა რესპუბლიკების შესახებ გერმანიაში ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატები ავრცელებენ დაუჯერებელ ხმებს და ცილისწამებას. თქვენი ქვეყნის ნახვა ჩვენ გვაძლევს ამ მხრივ ბევრ ძვირფასს მასალას. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ გერმანიის პროლეტარიატი ჩქარა ისევე იბრძოლებს თავისი უფლებისათვის, როგორც იბრძოდით თქვენ. ჩვენ თან წავიღებთ თქვენს აღფრთოვანებას და ჩვენს რევოლიუციონურ სულისკვეთებას და ამ გზით გავაერთიანებთ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს, გმადლობთ შეხვედრისათვის. გაუმარჯოს გერმანიის და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ერთობას“.

აჭარის წყლის ელსადგურის დათვალიერება

სახალხო კომისართა საბჭოს ნახვის შემდეგ დელეგაცია მთელი შემადგენლობით ავტომობილებით გაემგზავრა აჭარის წყლის ჰიდროელექტრონის სადგურის დასათვალიერებლად.

აღმშენებლობის ადგილზე მისვლის შემდეგ დელეგაციამ დაათვალიერა სამუშაოები, დამხმარე ელექტრონის სადგური და სხვა მოწყობილობანი.

დელეგაცია ძალიან დაინტერესდა აღმშენებლობით, დაათვალიერა მუშათა მოსახლეობა, და გაეცნო მუშაობის და მუშათა ყოფა-ცხოვრების პირობების.

მიტინგი

შემდეგ სადგურის მუშათა კლუბში გაიმართა მიტინგი. გერმანელ ამხანაგების გამოჩენას ტრიბუნაზე შეხვდენ „ვაშას“ ძახილით და ხანგრძლივი ტაშით.

ხარაზაძის მისალმების შემდეგ, გამოვიდა დელეგატი ზეკკი, რომელმაც სთქვა, „ყოველი დღე გვიმტკიცებს ჩვენ თქვენი პროლეტარიატის ძლიერებას. ლენინის ერთ-ერთი უდიდესი იდეა—კომუნიზმის პრაქტიკულად გატარება ხორციელდება ცხოვრებაში. ჩვენ ვაცნობებთ გერმანიის პროლეტარიატს, როგორ სცხოვრობს და მუშაობს საბჭოთა პროლეტარიატი.

ასეთი მიღწევები შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. მთელი ჩვენი არსებით გვსურს, რათა გერმანიაში გატარდეს თქვენი სისტემა, რომელსაც ასეთი ბრწყინვალე შედეგები მოჰყვა“.

გამოთხოვება

გამოეთხოვენ რა მუშებს, რომლებმაც გააცილეს „ვაშას“ ძახილით, გერმანელი დელეგატები, საღამოს 11 საათზე დაბრუნდენ ქალაქში. „მუშკოოპის“ წითელ სასადილოში გაიმართა ამხანაგური ვახშამი.

სოხუმისაკენ

ბათომი, 10 აგვისტო. 11 აგვისტოს, დილის 7 საათზე, დელეგაცია მიემგზავრება სოხუმში, საიდანაც ბათომში დაბრუნდება 13 აგვისტოს.

სოხუმი ემზადება

სოხუმი. 10 აგვისტო. სოხუმის მშრომელები ემზადებიან გერმანიის მუშათა დელეგაციის შესახვედრათ. დელეგაციის ჩასვლას მოელიან 11 აგვისტოს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია

თბილისის მაზრაში

დაბეგვრის ობიექტების გადაყვანა ნათესებზე დასრულებულია.—აღრიცხულია 30.500-ზე მეტი მეურნეობა.—დაბეგვრის მთავარ ხარისხად აღებულია მე-4.—გადასახადის ჯამი ნავარაუდევია 246.184 მანეთად.—მიმდინარე წელს შემოღებული იქნება ბევრი შეღავათი.—რამდენია გაწერილი თვითეულ თემზე.

თბილისის აღმასკომის საგადასახადო ქვეგანყოფილებაში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, რომ მთელ თბილისის მაზრაში დაბეგვრის ობიექტების გადაყვანა ნათესებზე დასრულებულია და ამ ჟამად სწარმოებს მუშაობა საგადასახადო ფურცლების შესადგენად.

მთელ მაზრაში აღრიცხულია 30.124 მეურნეობა, რომელთა დასაბეგრი მიწის რაოდენობა უდრის 146560 დესეტინას. ამ მიწებიდან პირველ განაკვეთის მიხედვით დაბეგრილი იქნება 36.160,79 დესეტინა, მეორე განაკვეთის მიხედვით—60.600,43 დესეტინა და მესამე განაკვეთის მიხედვით—ე. ი. თვითეულ სულზე სამი მეოთხედ დესეტინაზე მეტი, 49.798,88 დესეტინა.

ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის მთავარ ხარისხად აღებულია თბილისის მაზრისათვის მე-4, ე. ი. მთელ რესპუბლიკისათვის დაწესებულ ნორმის საშუალოზე ნაკლები.

წინასწარ ცნობების თანახმად თბილისის აღმასკომის საგადასახადო ქვე-განყოფილების მიერ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჯამი მთელ მაზრაში განსაზღვრულია 246.189 მან. და 07 კაპეიკით, მაგრამ ფაქტიურად აკრეფილი თანხა იქნება ნაკლები, ვინაიდან გადამხდელები ნაკლებია, ვიდრე აღრიცხული მეურნეობანი.

საქმე იმაშია, რომ მიმდინარე წელს ბევრ მეურნეობაზე გავრცელებული იქნება შეღავათები თანახმად დებულებისა „ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის“ შესახებ. ასე მაგალითად გადასახადისაგან თავისუფლდებიან ის მეურნეობანი, რომელთაც არა ჰყავთ საქონელი და რომელთა სახნავი მიწა თვითეულ სულზე არ აღემატება 3 მეოთხედ დესეტინას.

ამავე პირობებში თავისუფლდება მეურნეობანი, რომელთაც არა ჰყავთ სრულწლოვანი მუშაკები; მეურნეობა, რომლის სამუშაო საქონლის რიცხვი 2 სულს არ აღემატება, იხდის მხოლოდ გადასახადის ნახევარს.

გადასახადის მთელი ჯამი მაზრის თემებს შორის (წინასწარ) განაწილებულია შემდეგნაირათ:

ავჭალის	თემი	4.942	მ.	44	კ.
ასურეთის	„	18.936	„	50	„
ალბულაღის	„	16.866	„	78	„
გომბორის	„	5.067	„	20	„
დიღომის	„	3.336	„	38	„
ერწოს	„	15.172	„	17	„
ზემო-წალკის	„	13.397	„	84	„
თელეთის	„	8.9[illegible]	„	28	„
კოჯორის	„	3.391	„	92	„
მანგლისის	„	12.320	„	77	„
მარტყოფის	„	39.296	„	40	„
მცხეთის	„	441	„	94	„
პრიუტის	„	7.723	„	32	„
საგარეჯოს	„	16.148	„	36	„
სართიჭალის	„	20.362	„	08	„
ქვემო-წალკის	„	34.546	„	02	„
ყარაიაზის	„	23.308	„	72	„

რა ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობას ნიაღვარმა და სეტყვამ

ნიაღვრებმა და სეტყვამ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო რაიონებში სხვადასხვა დროს, დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს სოფლის მეურნეობას.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების ცნობებით, ეს ზარალი გამოიხატება შემდეგში:

სიღნაღის მაზრაში

მთელი ივლისის განმავლობაში მოდიოდა დიდი წვიმები; ალაგ-ალაგ ადიდდა მდინარეები, რამაც ზარალი მიაყენა სოფელ ყანდაურს, ბადიაურს, შილდაშს და ჩუმლაყს.

სოფელ ყანდაურში წყალდიდობამ დააზარალა ტყეები, წაღებულია რამოდენიმე ლორი, შინაური ფრინველები. დაზიანებულია რამოდენიმე შენობა და მთლად წაღებულია ერთი საბძელი.

კაჭრეთის თემში წყალდიდობამ წაღეკა 160 დესეტინა ნათესი.

ბორჩალოს მაზრაში

სეტყვამ დააზარალა ვენახები—საჭირხლინის თემში—6 დესეტინა, ქ. ლიუქსემბურგში—25 დეს.; ნათესები ოპრეთის თემში—50 დეს., ხოჯორლინის თემში—100 დეს. და ბამბა სადახლოს თემში—25 დეს.

უფრო ძლიერი იყო ნიაღვარი დასავლეთ საქართველოში—აჭარისტანში და ოზურგეთის მაზრაში.

ოზურგეთის მაზრაში

ივლისის განმავლობაში მეტად ხშირი წვიმები იყო. ივლისის ბოლო რიცხვებში კი მოვიდა ნიაღვარი, რომელმაც გამოიწვია მდინარეების ადიდება. ადიდებულმა მდინარეებმა წაღეკა და დაზიანა ყანების 15—20 პროცენტი. ამასთანავე ხშირმა წვიმებმა შეაფერხა დაბლობების ყანების ზრდა. რაც შეეხება სხვა კულტურებს, მათზე ამინდებს ცუდი გავლენა არ მოუხდენია.

ხშირმა წვიმებმა დააზიანა აგრეთვე ზუგდიდის მაზრის სიმინდის ნათესები, განსაკუთრებით დაბლობ რაიონებში.

ქუთაისის მაზრაში

ივლისის განმავლობაში მოდიოდა ხშირი წვიმები, იყო ღრუბლიანი დღეები და თანაც ტემპერატურა ცხელი იყო, რამაც მეურნეობას ზარალი მიაყენა იმით, რომ ვაკე და ჭაობიან ადგილებში ვენახებს გაუჩნდა სხვადასხვა ავადმყოფობანი, როგორც მაგალითად, „ობი“, „ნაცარი“ და „თეთრი სიდამპლე“.

რაც შეეხება მემინდვრეობას, თუმცა ურწყავ ადგილებზე ნათესებს საკმაოდ დაეხმარა წვიმები, მაგრამ სამაგიეროდ ზოგიერთ რაიონებში, როგორც მაგალითად, სამტრედიაში წვიმებმა საგრძნობი ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობას როგორც ნათესების წაღეკვით, ისე შენობების ნგრევა-წაღებით.

ხშირმა წვიმებმა ცუდი გავლენა იქონია აგრეთვე ბამბის ნათესებზეც.

დანარჩენი მაზრებიდან ჯერ მიღებული არ არის ცნობები.

ტრაქტორისტების გამოშვება

გუშინ, დღის 2 საათზე, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მებაღეობის სკოლაში მოხდა კომისარიატის მიერ მოწყობილი ტრაქტორისტების კურსების დამთავრებულთა გამოშვება.

ამ კურსების მნიშვნელობის შესახებ ჩვენს თანამშრომელ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებაში აცნობეს შემდეგი:

— საქართველოს სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა კრიზისების გამო, რაც გამოწვეული იყო ომიანობით და შემდეგ რევოლიუციებით, ძლიერ შემცირდა მუშა საქონლის რაოდენობა. ამიტომ აუცილებელი იყო ამ ცოცხალი ძალის შევსება, ე. ი. იმ ნაკლის გამოსწორება, რაც ხელს უშლიდა სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ვინაიდან მუშა საქონლის რაოდენობის გადიდება დიდ დროს მოითხოვდა, ამიტომ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი იძულებული იყო ცოცხალი ძალის შევსება ეწარმოებია მექანიკური საშუალებით.

ამ მიზნით კომისარიატის მიერ თავის დროზე შემუშავებული იყო გეგმა საქართველოს ტრაქტორიზაციისა.

კომისარიატმა საზღვარგარეთიდან შემოიტანა და მაზრებს შორის გაანაწილა გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები; მაგრამ ამ იარაღ-მანქანების ასამუშავებლათ საჭირო იყო გამოცდილი მოტორისტები, რაც ჩვენ არ გვყავდა ადგილებზე.

ტრაქტორის ჩაბარება შოფერისათვის არ შეიძლებოდა, რადგან შოფერს აინტერესებს მხოლოდ მანქანა, მიწათმოქმედება კი მისთვის მეორე ხარისხოვანი საქმეა. ტრაქტორისტი კი, პირიქით, უშუალოთ დაკავშირებული უნდა იყოს მიწათმოქმედებასთან.

ტრაქტორებზე მომუშავეთა კადრის მოსამზადებლათ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გახსნა სპეციალური კურსები, რომელზედაც საქართველოს იმ რაიონებიდან, სადაც შეიძლება ტრაქტორების გამოყენება, მოიწვია ისეთი მიწის მუშები, რომლებიც რამოდენიმეთ დაახლოვებული იყვნენ ზეინკლობასთან და მჭედლობასთან.

ამ კურსებზე სულ გამოცხადდა 28 კაცი. მეცადინეობა დაიწყო ივნისის პირველ რიცხვებში პროფ. ამირაჯიბის ხელმძღვანელობით. პრაქტიკული მუშაობა სწარმოებდა სახელმწიფო უნივერსიტეტის მუხრანის მამულში.

კურსები დაამთავრა 21 კაცმა. გამოცდები მოხდა შაბათს, 8 აგვისტოს. გამოცდას დაესწრენ საქართველოს საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ. სიმონ ჯუღელი, აგრ. გ. რცხილაძე (საგეგმო კომისიიდან) და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგე [illegible], რომლებიც მეტად კმაყოფილი დარჩენ კურსანტების თეორიული და პრაქტიკული მომზადებით.

ამ კურსებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს პირობებში, რადგან კურსანტებმა შეისწავლეს სამეურნეო მანქანები, მათ შეისწავლეს მათი დაშლა-შეერთება და გამოყენება და მათი დახმარებით ეს მანქანები კიდევ უფრო მეტ სარგებლობას მოუტანენ ჩვენს გლეხკაცობას და ხელს შეუწყობენ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას.

წითელ ჯარში

მე-6-ე ქართულ მსროლელ ტერ-ლეგიონისაგან

10 აგვისტო 1925 წ. ქ. თბილისი

ა. | წ. 15 აგვისტოდან იწყება ლეგიონის ცვალებად შემადგენლობის შეკრება, რის გამოც მოქალაქენი, რომლებიც მიწერილნი არიან მე-6 ქართ. მსრ. ტერ-ლეგიონზე, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ:

1) მეთაურები (ოცის თავები)—ა | წ. 15 აგვისტოს,

2) ოცეულის თავების თანაშემწეები და ათეულის თავები, დაბადებულნი 1899 წ., 1900 და 1901 წ.—15 აგვისტოს.

3) ადმინისტრატიული შემადგ. ექიმები და ფერშლები—ა | წ. 22 აგვისტოს.

4) კომპარტიის წევრები და კანდიდატები დაბ. 1899 წ. 1900 და 1901 წ.—ა | წ. 1-ლ სექტემბერს.

5) დანარჩენი მოქალაქენი დაბადებულნი 1901 წ.—ა | წ. 4 სექტემბერს.

შენიშვნა: 1) მოქალაქენი იკრიფებიან კუკიის ყაზარმებში დილის 7 საათზე. 2) ყველა ის მოქალაქენი რომლებიც არ გამოცხადდებიან შეკრებაზე, იქნებიან მიცემულნი პასუხისგებაში საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად.

ლეგიონის თავი—გრიგოლია.
სამხკომი—ცანცაძე.
შტაბის უფროსი—[illegible].

თბილისის ელექტროფიკაცია

მზადება „ზაჰესი“-ს ელექტრო-ენერგიაზე გადასასვლელად

ქსელის მომზადება

ეხლა არსებული თბილისის ელექტრო-ქსელი მომავალში „ზაჰესი“-საგან მიღებულ ელექტრონის ენერგიისათვის არ გამოდგება.

ამისათვის ქალაქის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებასთან არსებული ელექტრო-ქსელის გამვლელთ დაყენების განყოფილება უკვე აწარმოებს ქსელის ახლად მოწყობას.

მის მიერ ამ მიზნისთვის შედგენილია მუშაობის სათანადო გეგმა, რომელიც უკვე განხორციელებულია. დარჩენილია მხოლოდ მაღალ დაძაბულობის ქსელის გადაკეთება, რაც ამ მოკლე დროში დამთავრდება.

პირველ ხანებში მოსალოდნელია „ზაჰესი“-დან 3,480 კილოვატის მიღება დღისითი განათებისათვის და 6.385 კილოვატის ღამითი განათებისათვის.

ქალაქის ქუჩების განათების გეგმის დამუშავება განყოფილების მიერ უკვე დამთავრებულია სრულიად და ნახევრად შესრულებულია ქსელის მოწყობა. ქუჩების განათება დაყოფილია სამ კატეგორიად: ეფექტიურ კარგ და დამაკმაყოფილებელ განათებით. ბოძების დასობის საქმე უკვე დაწყებულია პირველი აგვისტოდან.

მომავალ მორიგ საქმედ, რომელიც უნდა შეასრულოს განყოფილებამ, მდგომარეობს „ემსი“-ს ენერგიიდან—„ზაჰესი“-ს ენერგიაზე გადასვლის საკითხის მოწესრიგებაში.

„ზაჰესი“-ს ენერგიაზე გადასვლა.

„ემსი“-ს ენერგიიდან „ზაჰესის“ ენერგიაზე გადასასვლელად საჭიროა სამი უმთავრესი პირობის ასრულება: 1) ძველმა აბონენტებმა რაც შეიძლება მალე უნდა გადააკეთონ თავის ელექტრონული მოწყობილობები ახალ ნორმების თანახმად; ყოველ შემთხვევაში „ზაჰესი“-დან ელექტროდენის მიწოდებამდე, 2) შესაძლებლობის ფარგლებში, რაც შეიძლება მეტი აბონენტები მომზადებული უნდა იქნენ ახალ ენერგიასთან შეერთებისათვის და 3) რაც შეიძლება მეტად უნდა იქნეს უზრუნველყოფილნი აბონენტები საოჯახო ელექტრონული ნივთებით (როგორც მაგ. ელექტრონის ქვაბები, ღუმელები, უთოები და სხვა), რათა გადიდებულ იქნას დღისითი ელექტრო-ენერგიის მოთხოვნილება.

ამისათვის საჭიროა აბონენტებისათვის კრედიტის გახსნა, რათა მათ შესძლონ მომზადება ახალ ენერგიის მისაღებათ. კრედიტის რაოდენობა განისაზღვრება სულ 2.370.000 მანეთით, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ აბონენტთა რიცხვი გადიდდება 10.000-ით.

ქალ. თბილისის განათება

ელექტრონით განათების მხრივ ქალაქი იყოფა სამ კატეგორიათ: 1. პირველ კატეგორიაში შედიან მთავარი ქუჩები და მოედნები, რომელთა განათება იქნება ეფექტიური და ნახევრად ეფექტიური, 2-ში ის ქუჩები, რომლებზედაც სწრაფი მიმოსვლაა და ყველა მოედნები და ბაღები, მათი განათება იქნება კარგი და 3 კატეგორიაში შედიან ყველა დანარჩენი ქუჩები—სუსტი მიმოსვლით.

პირველი კატეგორიის ქუჩების განათება მიღწეული იქნება ქუჩების ორთავე მხარეზე ჭადრაკული წესის ლამპების მოწყობით.

რუსთაველის პროსპექტზე ასეთი ლამპები ჩამოკიდებული იქნებიან ტრამვაის ბოძებზე და პროსპექტის ორთავე მხარეზე დასობილი იქნება სპეციალური ბოძები ცხრა მეტრის სიმაღლისა. პირველ კატეგორიის ქუჩების თითოეულ ბოძზე დაიკიდება 300 ვოლტიანი ფანრები. ეკონომიის თვალსაზრისით პირველ ხანებში შეიძლება დაიკიდოს 200 ვოლტიანი ფანრები.

მეორე კატეგორიის ქუჩების გასანათებლათ საჭირო იქნება დასობა ბოძებისა 30 მეტრით ერთი-მეორესთან დაშორებით და ქუჩის ზედაპირიდან ათი მეტრის სიმაღლეზე. თითეულ ბოძზე დაიკიდება 200 ვატიანი ფანარი;—პირველ ხანებში შეიძლება დაიკიდოს იმავე მიზნით, როგორც პირველ შემთხვევაში 100 ვატიანი ფანარი.

იმ ქუჩების გასანათებლათ, რომლებიც შედიან მესამე კატეგორიაში, ბოძები დაისობა ისეთივე მანძილზე და ისეთივე სიმაღლის, როგორც მეორე კატეგორიის ქუჩებში, მაგრამ მათზე დაიკიდება 100 ვატიანი ფანარი. აქაც პირველად შეიძლება დაიკიდოს ეკონომიურობის თვალსაზრისით სამოცვატიანი ფანარი.

შრომის პირობების გამოკვლევა

საქართველოს შრომის კომისარიატმა მიმდინარე წლის მესამე კვარტალში მოახდინა წარმოება-დაწესებულებების გამოკვლევა; თბილისში გამოკვლეულ იქნა 381 და ადგილებზე 436 დაწესებულება და წარმოება. უმეტესი პროცენტი მათ შორის მოდის სახელმწიფო წარმოებებზე (52,6 პროც.), შემდეგ მიდის კერძო წარმოებები (33,3 პროც.) და ბოლოს კოოპერატიული—(14,1 პროც.).

როგორ ტარდება შრომის კანონები.

მესამე კვარტალში მოხდენილმა გამოკვლევებმა დაგვანახვა, რომ შრომის კანონების დარღვევის შემთხვევები წინა კვარტალებთან შედარებით შესამჩნევათ გაიზარდა. ასე მაგალითად, პირველ კვარტალში შრომის დარღვევის შემთხვევები აღმოჩენილი იქნა გამოკვლეული წარმოებების 64,7 პროცენტში; მეორე კვარტალში ეს პროცენტი შემცირდა 30,9 პროცენტამდე, მესამეში კი—23,6 პროცენტამდე.

ეს მოვლენა უპირველეს ყოვლისა აიხსნება იმით, რომ უკანასკნელ ხანებში დამქირავებლები უკეთესად იცავენ შრომის კანონებს.

როგორც ყოველთვის, შრომის კანონების დამრღვევთა შორის საპატიო ადგილი უჭირავთ კერძო მწარმოებლებს. მათზე მოდის შრომის კანონების დარღვევის 90,9 პროცენტი. კონფლიქტები ხდება უმთავრესათ სამუშაო დროის, დასვენების და შრომის ხელფასის საკითხების გარშემო.

შრომის პირობების გამოკვლევა სოფლის მეურნეობაში.

სოფლის მეურნეობაში მომუშავე მუშების შრომის პირობების გამოკვლევის სფეროში მუშაობდა ერთი ინსპექტორი.

გამოკვლეული იქნა აფხაზეთის, აჭარისტანის და ზუგდიდის, სენაკის, თბილისის და ბორჩალოს მაზრების სასოფლო-სამეურნეო მუშების შრომის პირობები. გამოკვლევა შეეხო 78 მეურნეობას (48 გლეხთა მეურნეობა, 17 სახელმწიფო და 8 კოოპერატიული), რომლებშიაც მუშაობს 665 კაცი.

შრომის კანონთა დარღვევის წინააღმდეგ, რაც აღმოჩენილი იქნა გამოკვლევის პროცესში, მიღებულია შემდეგი ღონისძიებანი:

დადებული იქნა შრომის 22 ხელშეკრულება, ამასთანავე ჩატარებულია მუშების 20 კრება, რომელზედაც მუშებს უხსნიდენ შრომის საკითხებს.

ბორჩალოს მაზრაში მოწვეული იქნა სათემო აღმასკომების შემარიგებელი კომისიების კრებები, რომლებზედაც ადგილობრივი მუშაკები ახსნა-განმარტებას იძლეოდენ კონფლიქტების გადაწყვეტის სფეროში.

გლეხთა მეურნეობის თავისებურება უკარნახებს შრომის კომისარიატს ფრთხილად მიუდგეს კონფლიქტების გადაწყვეტას. ერთის მხრივ საჭიროა არ დავაშინოთ დამქირავებლები, მეორეს მხრივ არ შეიძლება დაშვებული იქნეს ექსპლოატაცია. ყველაფერი ეს იციან ადგილობრივმა მუშაკებმა და ისინი ყოველგვარ ზომებს იღებენ, რომ მშვიდობიანათ გადაწყვიტონ კონფლიქტები.

საქველმოქმედო მარკების გავრცელების შესახებ

(ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის გეგმის გარეშე ინსპექციამ გამოიკვლია მთელი რიგი ის ორგანიზაციები, რომლებიც საქველმოქმედო მიზნით ავრცელებენ მარკებს, ნიშნებს და სხვას.

გამოკვლევის დროს აღმოჩენილი იქნა შემდეგი:

მიუხედავათ საბჭოთა კავშირის ფინსახკომის ცირკულიარული განკარგულებისა იმის შესახებ, რომ საქველმოქმედო მარკებზე აღნიშნული უნდა იქნეს მთლიანათ წარწერა:

ა) „საქველმოქმედო მარკა“,
ბ) „იძულებით გავრცელება არ შეიძლება“,
გ) „ფულის ნიშნების მაგივრათ მიცემა ან მიღება დაუშვებელია“,

არც ერთი ეს მოთხოვნილება ფაქტიურათ შესრულებული არ ყოფილა და, როგორც საერთო წესი, მარკებზე არავითარ წარწერას არ ჰქონია ადგილი.

მარკების გავრცელება ხდება კერძო აგენტურის ანდა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მოსამსახურეთა საშუალებით, რომლებიც ამ მუშაობაში იღებენ ანარიცხს 10—15 პროცენტამდე და, მაშასადამე, დაინტერესებული არიან მარკების მაქსიმალურ გავრცელებაში.

მარკების გამავრცელებელ პირების დაინტერესება პროცენტებით აიძულებს მათ მიმართონ გავრცელების სხვადასხვა საშუალებებს, რომლებსაც საბოლოო ანგარიშში არა აქვთ ნებაყოფლობითი ხასიათი; ასე, მაგალითათ, მარკებს აკრავდენ რკინის გზის ბილეთებს, საფოსტო-სატელეგრაფო ქვითრებს და სხვა დოკუმენტებს, ოთხაკვირველია, გადამხდელთა დაუკითხავათ და მათი ღირებულება შედიოდა გადასახდელ თანხაში.

პრაქტიკაში საქველმოქმედო მარკების გავრცელება ხშირათ შემოსავლის წყაროა აგენტებისა და მოლარეებისათვის და ამას რეალური სარგებლობა არ მოაქვს იმ დაწესებულებებისათვის, რომლებიც ამ მარკებს უშვებენ.

ამის გამო გეგმა-გარეშე ინსპექციამ დაადგინა, რომ საქველმოქმედო მარკების გავრცელების წესი შეცვლილი იქნეს ძირიანათ; ამასთანავე მოწესრიგებული იქნეს თვით მარკების გამოშვება.—ასეთების გამოშვება ნებადართული უნდა იქნეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

მუშათა ცხოვრება

რკინის ცოცხი ასეთებს

(„დტ. ჩ.-კ.“-ს და რკინ. გზის სამმართველოს საყურადღებოთ)

კახეთის რკინის გზაზე სადგურ გურჯაანში არის უფროსად ვინმე მ. ახათიანი, რომელიც გადამეტებულ ლოთობას ეწევა ვილაც მცირე წლოვან ბიჭბუჭებთან.

კურორტ ახტალას ახლოს არის სამიკიტნო, რომელსაც ბატონი ახათიანი თავის ამფსონებით ხშირად ეწვევა ხოლმე—და თავის ლოთობით და აურზაურით სამკურნალოდ ჩამოსულ ავადმყოფებს მოსვენებას არ აძლევს.

დროა ასეთებს ყურადღება მიექცეს და რკინის ცოცხით გაიცოცხონ.

მუშკორი კიბულა.

მაინც ფონს ველარ გავლენ

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოთ)

ქ. აღმასკომმა თუმცა გვიან, მაგრამ მაინც არ დატოვა უყურადღებოთ ის დიდი საქმე, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში შეადგენს—ბინების კაპიტალური რემონტი.

ამის შესახებ ორი დადგენილება №№ 88 ერთი-ერთმანეთს მოჰყვენ. ორივე უდავო და მიზანშეწონილია, მხოლოდ მას უნდა ცხოვრებაში გატარება, განხორციელება.

ვის ევალება ამ დიდი საქმის ცხოვრებაში გატარება?

ცხადია აღმასკომის დადგენილებით ბინების რემონტის ხარჯები უნდა გასწიოს სახლების მეპატრონეებმა.

აქ საინტერესო და მეტად მიზანშეწონილი ის, რომ სდგება კომისია ბინადრებისაგან, რომლებიც უშუალოდ დაინტერესებული არიან ამ საქმეში და თვალყურს ადევნებენ, თუ რამდენად იქნება შესრულებული ოქმი, რომელიც ხელწერილს ქვეშ ჩაბარდა სახლის პატრონს. როგორც ვხედავთ აღმასკომის დადგენილება, რომ ცხოვრებაში გატარდეს ისე, როგორც საჭიროა მტკიცე და შეუჩერებელი თვალყურის დევნებაა საჭირო ბინადრებისაგან კომისიის სახით.

არც ისე ადვილია ამ საქმის ცხოვრებაში გატარება.

ძალიან ხშირი შემთხვევა იქნება, და დღესაცაა ალაგ-ალაგ, ჯერ კომისია არ შემდგარა და იმ მიზეზით, რომ სახლს ჩამომართმევენო, მეპატრონეები თითხნიან ბინებს წყალწყალა სალებავით ვითომც და რემონტს აკეთებენ. ასეთი „ცრუ რემონტები“ სახლებს არ შველის. ჩვენმა მუშებმა თვალყური უნდა ადევნონ სახლის პატრონების თვალმაქცობას.

ბინადრი.

გამოგზავნილი წერილებიდან

სამკითხველო უწიგნოთ

(განათლების კომისარიატის საყურადღებოდ)

ერთ-ერთ მუშათა რაიონად ითვლება ვერა და მისი მიდამოები. ჩვენი მუშების შვილები იყრიან ხოლმე თავს წერეთლის სახელობის სამკითხველოში და იქ მოზარდი თაობა სწავლობს და ვითარდება. დამსწრეთა შორის სჭარბობს ბავშვობა და უკმაყოფილონი ბრუნდებიან სახლში, რადგან ხსენებულ სამკითხველოში ძალიან ცოტაა ან სულ არ არის შესაფერისი ლიტერატურა. განათლების კომისარიატმა უსათუოდ უნდა მიაქციოს ამ მოვლენას ყურადღება. ხსენებულ სამკითხველოში უნდა იყოს მეტი ლიტერატურა ბავშვებისათვის ქართულ ენაზე.

ფერუმი.

შეაკეთეთ სამუდამოთ

(რკინის გზის სამმართველოს საყურადღებოდ)

სადგურ თბილისის მორიგის კანტორაში არის ნიშანსვეტის (სემაფორის) მდგომარეობის „მაჩვენებელი“, სულ ოთხი ცალი (ორი შემომავალის და ორი გამავალის). თუ ის სწორად მუშაობს, ერთი მხრით როცა შემომავალს ღიათ უჩვენებს, გამავალს დაკეტილათ უნდა უჩვენებდეს და პირიქით, მაგრამ ფაქტიურად კი როცა ნიშანსვეტი ღია არის, „მაჩვენებელი“ დაკეტილათ უჩვენებს, ხან კი ყველას ღიად და ხან კიდევ ყველას დაკეტილათ. რაც ყოვლად დაუშვებელია. ამას ყურადღებას არავინ არ აქცევს, და ასეთი კანტი-კუნტი ჩვენებით მას შეუძლია მორიგე აგენტი შეიყვანოს შეცდომაში, რასაც მოჰყვება მარცხი.

რკინისგზელი ა. ხაზ—ლი.

მოგვაშორეთ მოძალადეები

(შორაპნის აღმასკომის საყურადღებოდ)

ხაშურის განაპირა უბანში (ყოფილ რკინის გზის ადგილში) აღმასკომის მიერ, რამდენიმე უსახლკარო ოჯახს მიეცა სამოსახლო ადგილი. ამ ადგილში ეხლა უკვე გაშენებულია სახლები. მაგრამ, დახეთ უბედურებას, ვინმე ანდრო თურმანიძე და მისი „ახლობლები“ დღე არ გავა, რომ არ შეეჭრენ მშვიდობიან მოსახლეებს და არ დაიწყონ ლანძღვა და მუქარა: „თუ ვინ მისცა ამ მოსახლეებს უფლება, რომ დასახლდენ აქ“-ო და სხვა.

ხსენებულ თურმანიძის მიერ კიდევაც იქნა მოგზავნილი შუა კაცად მოქ. ბიძაძე იმ დავალებით, რომ „ცოტა რამე მომცეთ და თავს დავანებებთ, თორემ საქმეს გაუჭირვებთ“.

მემუხრუჭე პატარა განო.

უნდა მიიღოთ სასწრაფო ზომები

(განათლების კომისარიატის საყურადღებოდ)

შარშანდელი მდგომარეობა სწავლა-განათლების დარგში ვაი-ვაგლახის იყო სასწავლო ნივთების და განსაკუთრებით წიგნების უქონლობის გამო; სურათი ასეთი იყო: მასწავლებელი უბნება მოწაფეებს—„უნდა მოიტანოთ ესა და ეს სახელმძღვანელო“. მშობლებსაც სურვილი ჰქონდათ, რომ შეეძინათ. ასეთები კი არსად მოიპოვებოდა ამ მხრივ სოფელი უფრო გაჭირვებული; იყო. სკოლების შენობებზე და ავეჯეულობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

რომ ასეთი უბედურება წელსაც არ განმეორდეს, საჭიროა ეხლავე მიიღოთ ზომები.

მოკეთე.

რკინის გზის წარმოებებში

— **ახალი ინტერნატი.** განჯის საუბნო პროფკავშირმა მიმართა სალიანდაგო სამსახურის მე 9-ე უბანს დასცალოს განჯაში არსებული კონდუქტორთა ბრიგადების დასასვენებელი სახლი და მოაწყოს იგი მოსწავლეთა ინტერნატათ.

— **ახალგაზრდათა თათბირები** ა | კ. რკინის გზის საგზაო კომიტეტმა მიმართა საუბნო პროფკავშირს მოაწყოს ახალგაზრდათა თათბირები საუბნო პროფკავშირების პლენუმებთან შეფარდებით.

— **ახალი დებულება** ა | კ. რკინის გზის საგზაო კომიტეტმა გამოიმუშავა ახალი დებულება საქართველოს რკინის გზის მუშა-ახალგაზრდათა შორის მუშაობის წარმოების შესახებ. დადგენილება შესასრულებლად გადაეცა ყველა საუბნო პროფკავშირებს.

— **დროებითი მოწმობები** ა | კ. რკინის გზის საგზაო კომიტეტმა გამოიმუშავა დროებითი მოწმობების ფორმა, რომელიც მიეცემათ კავშირში ახლად ჩარიცხულ პირებს.

— **შეკეთება.** სად. ბათომის საწარმოო თათბირმა მიმართა სალიანდაგო სამსახურის პირველ უბანში მოახდინოს ყველა საჩვენებელ ნიშნების შეკეთება.

— **შტატის გადიდება** სად. ხაშურის გაფართოებულმა საწარმოო თათბირმა მიმართა სამმართველოს გაადიდოს მეისრეთა შტატი 12 კაცით.

— **2000 ცალი შპალი** სად. ბორჯომის საწარმოო თათბირმა მიმართა ხაშურის საუბნო პროფკავშირს აღძრას შუამდგომლობა რკინის გზის სამმართველოს წინაშე, რათა მისცეს სალიანდაგო სამსახურის მე-5-ე უბანს ბორჯომის ხაზის საჭიროებისათვის 2000 ცალი შპალი.

ქრონიკა

— **საწევრო გადასახადები რემედასის წევრთათვის.** თანახმად რემედასის სრულიად საკავშირო ყრილობის დადგენილებისა და რ. კ. პ. ცეკასთან შეთანხმებისა, დაწესებულია რემედასის წევრთათვის შემდეგი ცხრილი წლიური საწევრო გადასახადებისა: 1. გლეხები, წითელარმიელები, უმუშევარნი, მათი ოჯახის წევრნი, მოწაფეები და „რემედას-ის მეგობარნი“ იხდიან 24 კაპ. 2. იმ წევრთათვის, რომელნიც ღებულობენ ჯამაგირს თვიურად არა უმეტეს 50 მან.—60 კაპ. 3. იმათთვის კი, ვინც ღებულობს თვიურად 50 მანეთზე მეტს—1 მან.

— **ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილების ხალექციო-საექსკურსიო ბიურო** ა. წ. 12 აგვისტოს საღ. 8 საათზე, ტრამვაის მუშათა კლუბში პლეხანოვის ქ. № 182 აწყობს ამხ. სტრელეცკის კინო-ლექციას „მოგზაურობა მდინარე ამაზონკაზე“.

— **მცირე-წლოვან დამნაშავეთა** საქმეების გამხილველ კომისიაში ივლისში იყო 46 საქმე, რომლიდანაც ბრალი ედებათ 61 ბავშვს, მათ შორის 6 ქალია. ეროვნების მიხედვით: 10 ქართველი, 12 რუსი, 23 სომეხი.

— **პროფესიონალურ სკოლების** საჭიროებისათვის განათლების კომისარიატმა დაადგინა შეიძინოს 8 ახალი კაბინეტები.

— **შოფერების გადასამზადებელი კურსები.** მომავალ სასწავლო წლიდან ავტო-ტრანსპორტის კავშირთან გაიხსნება შოფერების გადასამზადებელი კურსები.

— **კერძო კურსების შესახებ.** განათლების კომისარიატმა დაადგინა მომავალ სამოსწავლო წლიდან აკრძალოს კერძო კურსების გახსნა და აგრეთვე გააუქმოს არსებული.

— **ქვა-ნახშირის ამოღება.** უმ. სამეურნეო საბჭოს სათბობ განყოფილების გეგმით, მიმდინარე წლის განმავლობაში ტყიბულის მაღაროებიდან ამოღებული იქნება 4 ნახევარი მილიონი ფუთი ქვა-ნახშირი.

— **სიმინდი დასავლეთ საქართველოსათვის.** რუსეთის სააქციონერო საზოგადოება „ხლებოპროდუქტი“ ახლო მომავალში დასავლეთ საქართველოში გაგზავნის 25 ვაგონ სიმინდს და გაყიდის შეღავათიან ფასებში.

— **სოფლის მეურნეობისათვის.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა მომავალ წელში სასოფლო-სამეურნეო ხასიათის წიგნების, პლაკატების და ჟურნალების გამოსაცემად გამოითხოვა 94,463 მან.

— **ვეტერინარულ-ბაქტერიოლოგიური სადგური** მუშაობის გაფართოების მიზნით ახლო ხანში გადატანილი იქნება ვაკეზე.

— **მიწის ჩამორთმევა.** აპრილიდან ივლისამდე საქართველოში ზედმეტ მიწის მეპატრონეებს ჩამოერთვათ 177 ნაკვეთი მიწა, სივრცით 1,929 დესეტინა.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოზიდვა.** ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა შეადგინა მომავალში სას.-სამეურნეო იარაღების შემოზიდვის გეგმა.

— **დასასვენებელ სახლებში** 1 ივნისიდან დღემდე თბ. დამზღვევ. სალარომ გაგზავნა 156 კაცი.

— **ახალ დაბადებულთა** მოსავლელად თბ. დამზღვევმა სალარომ ივნისში გასცა 8,104 მან.

— **ბრძოლა საქონლის ჭირთან.** ტაბახმელის საშრატე სადგურმა ივლისის განმავლობაში დაამზადა 761 ლიტრა შრატი.

— **არაყის დამზადება.** აპრილიდან ივლისამდე ცეკავშირმა დაამზადა 88 ათასი გრადუსი არაყი.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტის** წიგნსაცავში ამ ჟამად ითვლება 300 ათასზე მეტი წიგნი.

— **სანატორიუმებში** მიმდინარე წლის განმავლობაში გაიგზავნა 900 დაზღვეული ავადმყოფი.

— **საბინაო სასამართლო.** თბ. აღმასკომმა დაადგინა გააფართოვოს საბინაო სასამართლოს შტატი ერთი მოსამართლით, 2 ტეხნიკური მომუშავით და 11 სასამართლოს აღმასრულებლით.

— **ქუჩების მოწყობა.** თბ. აღმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალით ქუჩების გათხრა-გასწორება აკრძალულია კეთილმოწყობის განყოფილების ნებართვის გარეშე.

— **სადგომები მუშებისათვის.** წყალსადენის განყოფილებამ ავჭალაში ააგო ახალი სადგომები მუშებისათვის, რაზედაც დაიხარჯა 7 ათასი მან.

— **ტივების გაყვანის აკრძალვა.** თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ზაჰესკომს აკრძალოს ზაჰესის განათხარში ტივების გაყვანა.

— **მოთხოვნილება ტრაქტორებზე.** ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა დაადგინა საზღვარგარეთიდან დამატებით გამოიწეროს ტრაქტორები, ვინაიდან მათზე დიდი მოთხოვნილებაა.

— **ღვინის დამზადება.** საქ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე 250 ათას ფუთ ღვინის დასამზადებლათ საჭირო თანხის მიცემის შესახებ.

— **სას.-სამეურნეო იარაღების გამოფენა.** მომავალი წლის მარტში თბილისში გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გამოფენა.

ხელოვნება

— **მ. ნ. ალეინიკოვის ჩამოსვლა** მოსკოვიდან „იუნკერსით“ ჩამოფრინდა თბილისში კინო-საზოგადოების „მეჟრაბპომრუს“-ის თავმჯდომარე მ. ნ. ალეინიკოვი, საქართველოში მთელ რიგ კინო-სურათების დადგმის შესაძლებლობის გამოსარკვევად.

დღეს

— **განათლების მუშაკთა კლუბში.** კინო-სურათი „შეიხის ასული“, მხატვრულ. კინო-დრამა 7 ნაწილად.

— **ცენტრალურ მუშათა კლუბში.** სახელმწიფო აკადემიური გუნდის და სიმებიანი ორკესტრის შეერთებული სამაგალითო კონცერტი კომპოზიტორის კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით.

შემთხვევები

— **გაძარცვა.** 10 აგვისტოს, ღამით, გზაზე გაძარცვეს მოქ. ვასილ კოზლოვი. წაიღეს 32 მან.

— **გვამის პოვნა.** 10 აგვისტოს, დღისით, კომუნალურ ქუჩის გასწვრივ მტკვარში აღმოაჩინეს დამხრჩვალი უცნობი მამაკაცის გვამი.

— **თავდასხმა.** 7 აგვისტოს, სოღანლუღიდან 20 ვერსის მანძილზე, სარვანის რაიონის საზღვარზე ბოროტმოქმედნი თავს დაესხნენ მოქ. სტურბან აბას ალის ჯოგს და გალალეს.

— **საპარიკმახეროში გაქურდვა.** 10 აგვისტოს ახალდაბის ხე-ტყის ქარხნის გამგეს ლეონიდე ტატინევსკის პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე საპარიკმახეროში მოპარეს 120 მან.

— **მსხვილი ქურდობა.** 10 აგვისტოს დღისით, კრილოვის ქ. № 5 გაქურდეს მიხეილ დარაშველის ბინა. წაღებულია 752 მანეთის ნივთები.

— **ამავე დღეს** გრიბოედოვის ქ. № 27 მოქ. ზაქარია ცილილაშვილის ბინიდან მოიპარეს 98 მანეთის ნივთები.

ფიზიკური კულტურა

მუშათა სასპორტო მოძრაობის მთლიანობისათვის

მოსკოვი. 11 აგვისტო. ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომაზე მოისმინეს მოხსენება ფრანკფურტის ოლიმპიადიდან ახლა ხან დაბრუნებულ წითელი სპორტინტერნის დელეგაციის წევრ გორკინისა.

წითელი სპორტინტერნის დელეგაციამ ფრანკფურტის ოლიმპიადაზე გამოაქვეყნა ლიუცერნის ინტერნაციონალის აღმასკომის ღია წერილი, რომელიც ეხება სასპორტო მოძრაობის მთლიანობის საკითხს; ამ მიმართულებით დელეგაციამ ოლიმპიადაზე ჩამოსულ მრავალრიცხოვან მუშებს შორის ჩაატარა ფართე განმანათლებელი კამპანია. საბჭოთა დელეგაციის დასწრებამ ოლიმპიადაზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ოლიმპიადის 80,000 მონაწილეზე, რომელნიც ყოფილ დემონსტრაციაზე ესალმებოდნენ ჩვენს დელეგატებს.

სოფლად

ვებრძოლოთ კუთხურ პატრიოტიზმს

ხალხისათვის ყოველ სასარგებლო და გამოსადეგ დაწესებულებას ჩვენს სოფლებში თან ახლავს ერთი დიდი ნაკლი, რომლის უყურადღებოთ დატოვება შეუძლებელია.

დაიწყება თუ არა ლაპარაკი სკოლის, აღმასკომის ბინის, კოოპერატივის, თეატრის ან სხვა რაიმე კულტურულ და საზოგადოებრივ მნიშვნელობის შენობის აგებაზე, მაშინვე ჩნდება სოფლად სხვადასხვა ჯგუფები, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ ამ შენობის თავის კუთხეში გასაშენებლად.

იწყება გაფთრებული ბრძოლა და კინკლაობა მეზობელ სოფლების, ან თვით ერთი სოფლის ფარგლებში და ზოგჯერ ეს უთანხმოება იქამდის მიდის, რომ დაწყებული საქმე ან სრულიად გვერდზე იდება, ან მისი ბოლოგვარება ჭიანურდება.

არც ისეთი შემთხვევები წარმოადგენს იშვიათ მოვლენას, როცა მოწინააღმდეგე მხარეები კეტებით ერევიან და თავპირს უსისხლიანებენ ერთმანეთს.

ამნაირათ იმის ნაცვლად, რომ საზოგადოების სარგებლობისათვის წამოწყებულ საქმე გლეხების საჭიროებას და მოთხოვნილებას წაადგეს, ის ხშირათ დაუშვებელ ანტაგონიზმს და სიძულვილს იწვევს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა შორის, რაიც საგრძნობლად აფერხებს სოფლის კულტურულ და ეკონომიურ აღმშენებლობას.

ჩვენს პირობებში, როცა საბჭოთა ხელისუფლება ასე დიდ ყურადღებას აქცევს სოფლის წარმოება-განვითარებას, როცა წინანდელთან შედარებით საზოგადოებრივი მუშაობა ფართოვდება და წინ მიდის, ეს მოვლენა განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია და მას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

ამ საკითხის შესახებ გამოგზავნილ სხვა მრავალ კორესპონდენციებიდან ჩვენ მოვიყვანთ ერთ ფაქტს.

მკითხველებმა იციან, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ განაახლა შავი ზღვის რკინის გზის შენება. ახალ ლიანდაგზე, როგორც ეს მოსალოდნელია, იქნება სადგურები და ბაქნები. თითქმის ყველა ახლო მდებარე სოფლები ცდილობენ, რომ მათ ტერიტორიაზე იყვეს აგებული სადგურები, განსაკუთრებული დავა სწარმოებს სოფ. ცაიშსა და ს. ცაცხვს შორის. ერთიც და მეორეც ცდილობს „ურყეველი“ საბუთებით დაარწმუნოს რედაქცია, რომ სწორეთ მათი სოფელია ყველაზე უფრო შესაფერისი ადგილი მატარებლის გაჩერებისათვის. გამარჯვება როგორც ჩანს ჯერჯერობით ცაიშის მხარეზეა, მაგრამ წერილებიდან ჩანს, რამდენად იზრდება ამ სოფლებ შორის სიძულვილი და ერთმანეთისადმი მტრობა.

ადგილობრივ მოწინავე გლეხების და პარტიულ ამხანაგების მოვალეობაა, რაც შეიძლება ენერგიულად ებრძოლონ ამ კუთხურ შენ-ჩემობას და საზოგადო საქმის მავნე სენს. ყოველ ცალკე შემთხვევაში საკითხს უნდა მიუდგენ უაღრესი ობიექტივობით და საერთო სარგებლობის თვალსაზრისით. სანამ საკითხი გადაიჭრებოდეს ის ყოველმხრივ გაშუქებული უნდა იქნას მოსახლეობისათვის და საერთო თანხმობის ენა უნდა გამოიძებნოს.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ იქ, სადაც ასეთ კუთხურ დავას აქვს ადგილი, სუსტია მოწინავე ელემენტის მუშაობა და გავლენა სოფელზე.

ა. ბ—ლი

წერილებიდან

დაუხურავი სკოლა. ახალციხის მაზრის სოფელ უდეშის გლეხებს სამაზრო კომუნალური მეურნეობა შეჰპირდა სკოლის აშენებაში დახმარებას, იმ პირობით, რომ სოფელი თავის ხარჯით ააგებდა კედლებს. და სახურავს კომუნალური მეურნეობა დაადგამდა. აგერ მეორე სამოსწავლო წელი იწყება, რაც დგას გადაუხურავი შენობა და არავინ ყურს არ იბერტყავს მის დასამთავრებლათ. გლეხების ამდენი ხარჯი და დაუზოგველი შრომა უნაყოფოთ იკარგება.

ა. დათებაშვილი.

სკოლის დარბაზი კრებისათვის თავისუფალია. დვაბზუს თემში, გურიაში, არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი პირები გაურბიან სკოლას და სხვა მოხერხებულ ადგილებს და საზოგადო მნიშვნელობის ხასიათის კრებას კერძო ოჯახებში ნიშნავენ. ბევრი ასეთ კრებებს, თავისთავად ცხადია, ვერ ესწრება ძალიან რომ სურდეს კრებაში მონაწილეობის მიღება. ამავე დროს შეიძლებოდის სკოლის დარბაზი სრულიად თავისუფალია და იმით არავინ სარგებლობს.

თავკომბულელი.

სოფლის ქრონიკა

— **ქუთაისის** 26 კომუნარის სახელობის თამბაქოს ქარხანა 1 აგვისტოდან გადავიდა ტრესტის ხელში.

— **სიმინდის მიღება.** ამ დღეებში ქუთაისში მოელიან 15 ვაგონ სიმინდს, რომელიც განაწილებული იქნება იმ რაიონებში, სადაც სიმინდის ნაკლებობაა.

— **საავადმყოფოს შეკეთება.** შეუდგენ ჭიათურის სამრეწველო საავადმყოფოს საფუძვლიან შეკეთებას.

— **გადამრჩენი პუნქტები.** მოწყობილი იქნა ქობულეთში, ციხის-ძირში და მწვანე კონცხის მახლობლად მობანავეთა დახრჩობისაგან გადასარჩენად პუნქტები.

— **მაუდის ქარხანა.** ქუთაისის მაუდის ქარხანაში ამ ჟამად მუშაობს 137 მუშა.

წერილი რედაქციის მიმართ

თბილისის გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობები—თითქოს ჭიათურაში დიდი მოთხოვნილება იყოს მუშებზე. ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება. ჯერ-ჯერობით მუშაობა იმ მასშტაბით, როგორც კორესპონდენტები სწერენ, არ დაწყებულა, რისთვისაც უკანასკნელი შეცდომაში შეყავთ როგორც გაზეთის რედაქციები, ისე მკითხველებიც და უფრო მეტად უმუშევრები.

მაგალითისათვის მოვიყვანთ შემდეგ სამ ამონაწერს 1) გაზ. „კომუნისტი“-დან № 181, ა. წ. 9 აგვისტოდან:

„ფირმა „ფორვუდ“-მა სამთო-მადნო მუშაკთა კავშირიდან გამოითხოვა 300 მუშა, გელზენკირხენის საზოგადოება იწყებს მუშაობას მიწის ახალ ნაკვეთებზე. დამატებით საჭირო იქნება 700 მუშა ხელი; 2) გაზ. „მუშაში“, ა. წ. 8 აგვისტოს ნომერში სწერია, რომ ტყიბულის მაღაროებში 2000 მუშა-ხელი მუშაობსო და სხვ. ეს ცნობები სინამდვილეს სრულიად მოკლებულია.

„კომუნისტის“ 9 აგვისტოს ნომერში ვკითხულობთ: „სამთამადნო მუშათა კავშირის განყოფილება საქართველოში პროფსაბჭოს დახმარებით ჰარიმანთან სდებს გენერალურ კოლექტიურ ხელშეკრულებას, რომლის ძალით განზრახულია დამუშავების ნორმის „შემცირება და სპეც-ტანისამოსის ნორმის გადიდება“—ესეც არ არის მართალი.*)

სამთო-მადნო მუშაკთა კავშირის პ.-მგ. მდივანი (ხელის მოწერა).

---

*) აღნიშნული ცნობები მიღებულია ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოსაგან.

რედ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ა | წ. 13 აგვისტოს, ორჯონიკიძის სახ. კლუბის შენობაში დილის 9 საათზე შესდგება რკ | გზ.

საუბნო. კავშირის გაფართოებული პლენუმი:

დღის წესრიგი:

1) უბკავშირის პრეზიდიუმის მოხსენება თავის მუშაობაზე 2) უდრ 12-ს საანგარიშო მოხსენება 3) მოძრაობის და სამმართველოს ადგილკომების მოხსენება 4) უბკავშირის მუშაობის გეგმა 5) საგზაო კომიტეტის საინფორმაციო მოხსენება გამოსყიდვის სისტემაზე 6) მუშკორების მნიშვნელობა პროფესიონალურ და საწარმოო მუშაობაში 7) მიმდინარე კითხვები: 1) შეშის და ნავთის დაკმაყოფილების შესახებ 2) ორკესტრის შესახებ.

— ლენინის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება აცხადებს საშეფო კომისიების იმ თავმჯდომარეების საყურადღებოდ, რომლებიც არ დასწრებიან 7 აგვისტოს საშეფო თავმჯდომარეების თათბირს, აუცილებლად გამოცხადდნენ ლენინის რაიკომის შენობაში ხუთშაბათს, 13 აგვისტოს საღამოს 5 საათზე განმარტებისა და თათბირის დადგენილებების გასაცნობად.

ლენ. რაიკომის საგიტ. საპროპ. განყ. მაგიერი—შავლაძე.

— ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის საგიტ-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ ის ამხანაგები, რომლებსაც შემოტანილი აქვთ განცხადებები რაიკომში, უმაღლეს და სხვა სასწავლებლებში შესასვლელათ, უნდა გამოცხადდნენ 13 აგვისტოს დილის 8 საათზე ქალაქის რაიკომის საგიტ-საპროპაგანდო განყოფილებაში.

საგიტ-საპროპაგანდო განყოფილების გამგე.

— ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, დღის 1 საათზე შესდგება თბ. კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა. აუცილებელია ყველა წევრების დასწრება დაუგვიანებლად.

წინადადება ეძლევათ ქვემოხსენებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ თბ. კომ. (რუსთაველის პრ. 20) საორგანიზაციო კოლეგიის სხდომაზე.

1. არონ ოშმიანი, 2. პავლე ისაევი, 3. ვიქტორ ტერლეცკი, 4. ალექსანდრე მიკირტუმოვი, 5. ნადეჟდა მაქსიმოვა, 6. არუტიკ ზახარიანი, 7. ლევან ამირხანოვი, 8. რაფაილ შაპელნიკოვი, 9. ეკატერინა კოგანი, 10. დარია ბუგაევა, 11. ნინა ბროვჩენკო 12. ანტონინა ტიმოფეევა, 13. რუბენ სარქისოვი, 14. თედორე ტრუდკოვი, 15. ადელია კონროვტი, 16. ალექსი მამუკაშვილი, 17. ალექსანდრე მარღიევი, 18. მიხეილ კოდომცევი, 19. ალექსი ლიაშენკო, 20. ალექსი მედვედევი, 21. ანტონინა ტოკარევა, 22. ლიუსიკ ტანტიმიანი, 23. მარღიევა, 24. გევორქ გევორქოვი, 25. სერგო ბასილოვი, 26. მკრტიჩ განცანოვი, 27. ალექსანდრე კოტელნიკოვი, 28. ბორის შნეიდერი, 29. ანნა გონიაშვილი, 30. ელისაბედი ივანოვა, 31. ლეონ სულიევი, 32. ვენერა წულაია, 33. დავით ხუხუტაშვილი, 34. ივანე შოთაშვილი, 35. კარაპეტიანცი.

ახ. ლ. კ. კ. თბ. კომ. საორგ. განყოფ. მდივანი მახარაძე.

— ავიაქიმის მეორე რაისაბჭო იუწყება, რომ დღეს, ა | წ. 12 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბში შესდგება რაისაბჭოს სხდომა, ავიაქიმის უჯრედების მდივნებთან ერთად.

საკითხების მნიშვნელობის გამო, რაისაბჭოს წევრებისა და მდივნების დასწრება აუცილებელია.

ავიაქიმის მე-2 რაისაბჭო.

თბილ. აღმასკომის პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილება № 89

31 ივლისი 1925 წ.

ქუჩებში სანგრების, ორმოების და სხვა სამუშაოთა მიერ გამოწვეულ თხრილების შემდეგ ქვაფენილების ხანგრძლივი მთლიანობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მიწის ქვეშ დალაგებულ ჯირგინების ქსელისაგან მოსალოდნელ უბედურ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად იცემა შემდეგი სავალდებულო დადგენილება.

1. სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ქუჩების გათხრასთან, უნდა სწარმოებდეს მხოლოდ ამაზე წინასწარ აღებულ ნებართვით აღმასკომის კეთილ-მომწყობ განყოფილებიდან. გათხრის ნებართვის მისაცემად განცხადებაში უნდა იყოს ნაჩვენები სახელწოდება და მისამართი მთხოვნელისა, აგრეთვე კომისარიატი, ქუჩა და სამუშაოს უახლოესად მდებარე სახლის №-რი, სიგრძე და სიგანე საჭირო გასთხარისა.

შენიშვნა: რადგან ქალაქის ქვემოდ ჩამოთვლილ ქუჩებში და მოედნებში გადის მაღალი წნევის ჯირგინი ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურისა,—ამისათვის ამ ქუჩებში განზრახულ სამუშაოების დაწყებამდის გარდა აღმასკომის კეთილ-მომწყობ განყოფილებისა, შეტყობინებულ უნდა იქნეს ზაჰესის საჯირგინო ქსელის განყოფილებისათვის (დღეს ზაჰესის მე-3 საამშენებლო უბანი, ლადო დუმბაძის ქ. № 3, მე-3 სართული) აღნიშნულ ადგილზე მუშაობის ნებართვის მისაცემად და ზომების მისაღებათ ჯირგინების და მომუშავების უბედურ შემთხვევისაგან უზრუნველსაყოფად.

ჯირგინები დალაგებულია ქალაქის შემდეგ ქუჩებში და მოედნებში.

ანასტასიევის ქ. აჯამეთის შესახ. ახალშენის ქ. ახალ-სამების ქ., აუზის ქ., აფანასიევის ქ., არტო-მელიქოვის ქ., (ყოფ. ლუარსაბოვის), აბანოს ქ., 300 არაგველთა ქ., აველაბრის ქ., ბატარეის ქ., ბრძანების ქ., გეორგიევის ქ., გზატკეცილის-ახალშენისაკენ, განოვის ქ., გიმნაზიის სანაპირო ქ., გრიბოედოვის დობროლიუბოვის ქ. (ყოფ. გაიდენოვის), დიდი-ვანქის ქ., დიმიტრიევის ქ., ეკლესიის ქ., ეკატერინის ქ., ერმოლოვის ქ., ერეკლეს ქ., ელბრუსის ქ., ვაგზლის ქ., ველიამინოვის ქ., ვორონცოვის ხიდი, ვერცხლის რიგი, ვერის დაღმართი, ვარდის მოედანი, ზურაბოვის ქ. (ყოფ. კამგეროვის), 19 თებერვლის ქ., თელავის ისრალოვის ქ., იურეევის ქ., კახეთის ქ., კლარა-ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის), კუკიის შესახ. კალენინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის), კომუნალური ქ. (ყოფ. ვორონცოვის, კალოუბნის ქ., კამოს, კოტე ცინცაძის ქ., კირკის ქ., ლოტკის ქ., ლერმანტოვის ქ., ლორის-მელიქოვის ქ., ლაზარევის ქ., მილიუტინის ქ., მარქსის მოედანი, მინკვიცევის ქ., მიხაილოვის შეს., მადათოვის ქ., მნაცაკანოვის ხიდი, ნავთლუღის ქ., ნიკოლ. ხიდი, ორჯონიკიძის ქ. (ყოფ. ანდრეევის), პლეხანოვის პრ., პაულიჩის ქ., პასკევიჩის ქ., პუშკინის ქ., პანასევიჩის ქ., პროექტიროვის ქ., პასაჟ-კროშკა, ჟუკოვის ქ., რუსთაველის პრ., რტიშჩევის ქ., საბჭოს ქუჩ., (ყოფ. ჩერქეზოვის), საბადურის ქუჩ., სამების ქუჩ., სოლოლაკის ქუჩ., სურფ-ნიშანის ქუჩ., სურფ-გეორქოვის ქუჩ., სამღებრო ქუჩ., ტაგი-ზადეს ქუჩ., (ყოფილი სურფ-სარქის), ტროცკის ქუჩა, ტოლსტოის ქუჩა, თეატრალ. შესახ. ფალავანდოვის ქ., ფიოლეტოვის ქ. (ყოფ. პეტრე-პავლეს) ქ., ქედის ქ., ყორღანოვის ქ. ყვირილის ქ., შირაქის ქ., ჩერნომორის ქ., წვეის ქ., ხუდადოვის ქ., ჯორჯიაშვილის ქ.

2. სასწრაფო შემთხვევაში, როგორიც არის წყალსადენის მილის გაფუჭება და სხვა, კეთილ-მომწყობ განყოფილებას უნდა ეცნობოს არა უგვიანეს 24 საათისა, შეკეთების მუშაობის დაწყებიდან, როდესაც ამ მუხლის აღნიშნული შემთხვევები პირველ მუხლის აღნიშნულ ქუჩებს შეეხება, მაშინ სათანადო ცნობა ზაჰესის მე-3 საამშენებლო უბანს უნდა ეცნობოს (ლ. დუმბაძის ქ. № 3, 10—71) ხოლო სამსახურის დროის შემდეგ მე-3 უბნის უფროს-ინჟინერ ლეჟავას (თამარის ქ. № 1 ტელეფ. № 5—33) ან უბნის სამონტაჟო ინჟინერს მუსხელიშვილს (პლეხანოვის პროს. № 111 ტელ. 10—66).

შენიშვნა: ზაჰესის ჯირგინების და ან მისი მიწის ქვეშ რაგვის აღმოჩენის დროს, აგურების მჭიდონ ან ტინობის მიღის სახით, ზემოაღნიშნულ ქუჩებზე—აკრძალულია წარმოებულ იქნეს ჯირგინებთან რანაირიც არ იყოს მანიპულიაცია ან ჩაყრა, ზაჰესის საჯირგინო ქსელის განყოფილების ტეხნიკური აგენტების დაუსწრებლად, ელექტრონული დანადგარის ავარიიდან ან მომუშავეებთან უბედურ შემთხვევის თავიდან ასაცილებლად.

3. სანგარის ამოვსება უნდა სწარმოებდეს აუცილებლად მშრალი მიწით მჭიდრო დატკეპნით ყოველ სამ ვერშოკის შემდეგ, მოკირწყვლა უნდა სწარმოებდეს ქვიშაზე სისქითა არა ნაკლებ სამი ვერშოკისა.

4. დანარჩენი მიწა და ნაგავი გატანილ უნდა იქნეს 12 საათის განმავლობაში სამუშაოს დამთავრების შემდეგ.

5. სანგრევი და ორმოები შეზღუდულ უნდა იქნეს ორი მხრიდან გზის გადასალობებით და განათებული ჩამოკიდებული ფანრით.

6. სანგრების გათხრით გამოწვეულ სამუშაოების დამთავრების შემდეგ—ქუჩები დაუყოვნებლივ მოყვანილ იქნენ წყობაში, აკრძალულია სანგარის წინასწარი გათხრა იმაზე მეტი სიგრძის, რაც ერთი დღის საჭიროებას შეადგენს ჯირგინების მილების და სხვათა ჩასალაგებლად.

შენიშვნა: 1. იმ ქუჩებში, სადაც მიმოსვლა არ არის ხშირი, შესაძლებელია სანგარის გათხრა უფრო მეტი სიგრძისაც მხოლოდ ამაზე უნდა იქნეს წერილობითი ნებართვა კეთილ-მომწყობ განყოფილებიდან.

7. სანგარის ანუ თხრილის კვალზე ქვაფენილის ანუ გზატკეცილის დაწევის ან რაიმე უსწორ-მასწორობის შექმნას, კეთილ-მომწყობი განყოფილება აცნობებს წერილობით იმ დაწესებულებას, რომელმაც აწარმოვა ქუჩების გათხრა. ცნობის მიღებიდან დაწესებულებას ეძლევა სამი დღის ვადა ქვაფენილის ანუ გზა-ტკეცილის ყოველივე დეფექტის გამოსასწორებლად; იმ შემთხვევაში თუ დაწესებულებამ ვერ შეასრულა ვადაში დაკისრებული სამუშაო, კეთილ-მომწყობი განყოფილება თვითონ აწარმოებს სამუშაოს §-8-ით გათვალისწინებულ საწინდრის ხარჯით.

8. ყველა დაწესებულებამ, რომელსაც სურს ქუჩების გათხრასთან დამოკიდებული სამუშაოს წარმოება, უნდა შემოიტანონ საწინდარი ქვაფენილების უზრუნველსაყოფად კეთილ-მომწყობ განყოფილების განსაზღვრით, მხოლოდ არა ნაკლები 50 მანეთისა.

შენიშვნა: 1. საწინდარის რაოდენობა განისაზღვრება მთხოვნელის განცხადებაზე აღნიშნულ მოცემულების მიხედვით, სანგარის ზედაპირის ყოველ ოთხკ. საჟენზე 8 მანეთის წარდგენით.

შენიშვნა: 2. საწინდარი უბრუნდებათ უკან მხოლოდ ექვსი თვის განვლის შემდეგ შესწორებების საფასურის გამოკლებით თანახმად § 7-სა.

შენიშვნა: 3. თუ დაწესებულების მიერ შეტანილი საწინდარი არ დაფარავს ხარჯებს, რომელიც გამოწვეული იქნება ქვაფენილების დეფექტების შეკეთებით, კეთილ-მომწყობ განყოფილებას უფლება ენიჭება სასამართლოს საშუალებით იძიოს ზედმეტი ხარჯი იმ დაწესებულებიდან, რომელმაც აწარმოვა ქუჩების გათხრასთან დამოკიდებული სამუშაო.

9. ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი დაიჯარიმებიან ჯარიმით არა უმეტეს ასი მანეთისა ან დაპატიმრებით 2 თვემდე.

10. მილიციის ვალდებულებას შეადგენს თვალყური ადევნოს რათა არ გაითხაროს ქუჩა აღმასკომის კეთილ-მომწყობი განყოფილების ნებადაურთველად და დამნაშავენი კი მისცენ პასუხისგებაში, როგორც ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი.

11. ეს სავალდებულო დადგენილება შედის ძალაში დღიდან მისი გაზეთებში გამოქვეყნებისა.

თავმჯდომარის მოადგილე ივანოვ-კაკაბაძე.
ნის. 1606. 1—1 მდივანი ცქიტიშვილი.

გულდათუთქული დედა ფეოდოსი მიხეილის ასული ანთაძე, რძალი ვალია და შვილები თამარა, ვალოდია, საშა და იტუშა აუწყებენ ნათესავებს, მოყვრებს და ნაცნობებს, ძვირფასი

ჟორჟეტას

გარდაცვალებას, 8 აგვისტოს საღამოს 7 საათზე. გამოსვენება ბინიდან (კამოს ქუჩა № 82, ყოფილი დიდიმთავრის) ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე დანიშნულია ოთხშაბათს, 12 აგვისტოს ნაშუადღევის 5 საათზე

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე.

ქვ. 2226—2—1

გულდაწყვეტილი დეიდა ტერეზი მიხეილის ასული შვილებით გაიოზ და ნუგზარ კოპლატაძენი, სიძე მიხეილ ალექსანდრეს ძე მეუღლით ელენე და პატარა გივით ელიოზიშვილები აცნობებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასი, დაუვიწყარი

ჟორჟეტა ესტატეს ასული ანთაძისა

უდროოდ გარდაცვალებას 2229 1—1

ღრმად დამწუხრებულნი დეიდა მაკრინე მიხეილის ასული ნაკაიძისა შვილებით ეკატერინე სამუელის ასული ნაკაიძის და ბაბულია სამუელის ასული ნაკაიძე-ქიქოძისა—მეუღლით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ 8 აგვისტოს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი

ჟორჟეტა ანთაძე

ცხედრის გამოსვენება მოხდება საცხოვრებელ ბინიდან კამოს ქ. № 82, ორშაბათს ა | წ. 12 აგვისტოს საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. 2231 1—1

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მარიამი ტიმოთეს ასული, შვილები: ილიკო, სონია, გრიშა და მიხეილი (ტაშა) სტურუები, სიძე სერგო ონისიმესძე თევზაძე მეუღლეთურთ (ნადა) შვილის-შვილები ცაცა და გივი თევზაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მათთვის უძვირფასესს, პირველის მეუღლის, მეორის მამის და დანარჩენების ბაბუასი

მელიტონ სიმონისძე სტურუას

გარდაცვალებას რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია ა | წ. 13 აგვისტოს დღით ხუთშაბათს, ქ. სამტრედიაში. 2233 1—1

კურორტთა მთავარი სამმართველო
კურორტ ახტალას
სამმართველო აცხადებს, რომ სეზონი 1-ლ ოქტომბრამდეა. კურორტი სადგურ გურჯაანიდან დაშორებულია 100 საჟენით.
ყოველდღე თბილი და ცივი ტალახის აბაზოები. მკურნალობა: რევმატიზმი, პადაგრა, ქალთა ავადმყოფობა, ნერვიული, კანის და სხვა სნეულები, როგორც თვით კურორტის ბინებში, ისე ახლო სოფლებშია ხელმისაწვდომ ფასებში
კურორტზე მოწყობილია ბუფეტი-რესტორანი და ფოსტის განყოფილება
კურორტ ახტალას ადმინისტრაცია
ა. № 1601—2—1

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ
„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას
რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი № 10—49.

თბილისის აღმასკომის აგურის ქარხნების სამმართველო
ამით სთხოვს აგურის ყველა მომხმარებელთ
არა უგვიანეს
20 აგვისტოსი
მიაწოდონ ცნობა
(მისამართი, მაჩაბლის ქ. ყოფ. სერგიევის № 1, ტელ. № 6—55)
1925—26 წ. აგურების საჭირო რაოდენობის შესახებ

ის დაწესებულებანი და წარმოებანი, რომელნიც არ მიაწოდებენ ასეთ ცნობებს, არ იქნებიან შეტანილი 1925—26 წ. საწარმოვო პროგრამაში და აგურის ქარხნის სამმართველო იხსნის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ ეს დაწესებულებანი არ იქნებიან დაკმაყოფილებულნი აგურით 1925—26 წლის განმავლობაში.

აგურის ქარხნების მმართველი—კ. სტურუა.
ნ. 1608 1—1 საბჭოთა მმართველი—ბაქრაძე.

თბილისის
კომუნალური ბანკი
პუშკინის ქ. № 3
აწვდის
სარემონტო-საამშენებლო სამუშაოებისათვის
ციმბირის სახურავ რკინას, საუკეთესო ხარისხის ლაქს, სალებავებს და სელის ოლიფას, ქარხანა „ლაკოკრასკას“ ქარხნებიდან (ყოფ. მამონტოვის ქარხნები) ფანჯრის მინებს ბმისას, ლურსმანს, ცემენტს და სხვა საამშენებლო მასალას.
2—1 ნ. 1593

საქართველოს გზატკეცილების სამმართველო
ამით აცხადებს, რომ 13 ამა აგვისტოს
დილის 12 საათზე დანიშნულია
ძველი ავტომობილი „ფორდის“
საჯაროთ გაყიდვა
საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს შენობაში ივანე მაჩაბლის ქუჩ. № 8 (ყოფილი სერგიევის ქ.)
მსურველთ შეუძლიანთ დაათვალიერონ აღნიშნული ავტომობილი დილის 9 საათიდან დღის 2 საათამდის.
ნ. 1602 1—1

საჯარო ვაჭრობა
გაიყიდება 30.000 ფუთი შავი ქვა

17 აგვისტოს 1925 წ. დღით 1 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ქ. ფოთში რკინის გზის სადგურის მიდამოში ბაქანი № 29, დაყრილი ჩვეულებრივი გაურეცხელი შავი ქვა ოც და ათი ათასი ფუთი შეფასებული ფუთი. 15 კაპ.—4500 მანეთი, კუთვნილი ისიდორე სოფრომის-ძე ვარაზაშვილის, დასაკმაყოფილებლად ივანე ლაზარეს-ძე თევზაძის ვალისა 7608 მან. 43 კაპ. თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს აღმასრულებელ ფურცლისა 30 აპრილიდან ა. წ. № 18509. აწერილ ქონების საბუთების დათვალიერება შეიძლება ყოველ დღე ფოთის სახალხო სასამართლოს კანცელარიაში დილის 8 საათიდან დღის 2 საათამდე.

ვაჭრობა დაიწყება შეფასებითი თანხიდან

ქ. ფოთის სახალხო სასამართლოს აღმასრულებლის
2240 1—1 მაგიერ კ. კეიდია.

ა | წ. 13 აგვისტოს, ხუთშაბათს, დღის 12 საათზე, მადათოვის კუნძულზე თბილისის აღმასკომის კეთილ-მომწყობ განყოფილების სამნეო ნაწილის ეზოში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სადაც გაიყიდება სხვადასხვა ავეჯეულობა და ნივთები

შემდეგი შეწყვეტილი ვაჭრობა იწარმოებს ყოველ ხუთშაბათობით

1—1 1605 უქსის საიჯარო-საექსპლ. ქ | განყოფილება.

ბორჯომში
ექ. ე. გ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფებს მიიღებს მისამართით: როზა ლიუქსემბურგის ქუჩა № 17 ზოსინის აგარაკი.
15 თიბათვიდან 15 ენკენისთვემდე
25—2

წაღვერი
მედიცინის დოქტორი ა. ა. მოსხე
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფებს იღებს დილის 10—1 საათამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით. საპუნოვის აგარაკს № 5 (კოოპერატივის მახლობლად).
25—15 1795

ექიმი გ. ი. შაპელნიკოვი
ელისაბედის ქ. № 7
სპეციალურად: ვენერიული სნეულებანი, სიფილისი და კანის ავადმყოფობანი.
მიღება ყოველ დღე დილ. 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე, კვირაობით მხოლოდ დილით 10 საათამდე, ქალებისათვის დღის 3—4 საათამდე.
25—21

ექიმი
ალ. გ. მაღალაშვილი
ბავშვთა სნეულებანი.
იღებს 4—7 ს. საღამ. ყორღანოვის ქ. № 12.
25—2 2153

ექიმი გ. გ. მეგრაბიანცი
ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულიოზის, სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
25—13

პროფესორი გ. მ. მუხაძ
საზაფხულოთ გაემგზავრა ბორჯომში.
1960 25—10

ექიმი ა შუხმან
განაახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში
საღამოს 6—8 საათამდე; ქალები დღის 2—3 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ).
21—3

ექიმი გ. გოლდშტეინ
იღებს თვალით ავადმყოფებს საღამოს 6—8 საათამდე ნიკოლოზის ქ. 32 თვალეების არჩევა და თვალებზე მოწმობის უფასოთ საქ. სახელმწიფო მედვაჭრობის განყოფილებაში, თავისუფლების მოედანი № 1, დღის 2—4 საათამდე.
25—11

ექ. ა. ე. უზლანერ
ვენერიულ, კანის და შინაგანი ავად-მყოფობანი. ლორის-მელიქოვის ქ. ბინ. 1. პუშკინის ბაღის პირდაპირ. მიღება: დილის 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე.
25—2

დავკარგე სამშ. ხაზაჰ, მუშაკთ წიგნაკი № 7689 ივანეს ძე გოგიჩაიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2232 1—1

დავკარგე განქორწინების მოწმ ა. ფანცხავას სახელ № 1840. ჩ. გ. 2230 1—1

დავკარგე ახალგაზრდა კომკავ რის წიგნაკი, № 180 მოცემული აჭარისტანის კომიტეტისაგ პირადობის მოწმობა მოცემული მილიციის უფროსის მიერ № 20, სამსონის ძე მონ ჩხარტიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2228 1—1

დავკარგე მოწმობა ექვსი კლასის მოცემული 1923 წელ ყოფილი მეოთხე ქალთა გიმნაზიიდან მატრონა დუტუს ასული როგავას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 2227 1—1

დავკარგე სამხედრო მონაწილე № 11530, ივანე ბას შვილის სახელზე. ჩ. გ. 2241 1—1

დავკარგე საარიცხვო ბარათი კოლოშ ივანეს ძე ხიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2234 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1477 ანნა ივ ასული ხახუტაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2236 1—1

დავკარგე 1) თანამდებობის მოწმობა 2) თოფის მოწმობა, საგანგებო კომისიის მოწმობა ვასილი რიძეს სახელზე. ჩ. გ. 2237 1—1

დავკარგე მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 509 იოს ქინქლაძეს სახელზე. ჩ. გ. 2235 1—1

დავკარგე პირადობის წიგნაკი 1459 შენაბე იოსებ მიხელაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2239 1—1

ტირაჟი—20.654

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, სამშ. წულუკიძის ქ. № 4